emc.org.ge

წინასაარჩევნო პროგრამების მიმოხილვა

2016

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი
EMC
Human Rights Education and Monitoring Center

სარჩევი

მართლმსაჯულების საკითხები პოლიტიკური პარტიების პროგრამებში.....4
მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის სისტემა 5
დისციპლინური სამართალწარმოება 7
სასამართლოს თავმჯდომარეები 9
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმა 10
მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადით დანიშვნა 10
საკონსტიტუციო სასამართლო 11

პროკურატურისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა პოლიტიკური პარტიების პროგრამებში 13
პროკურატურისა და საგამოძიებო სისტემის რეფორმა პოლიტიკური პარტიების პროგრამებში.....13
სისხლის სამართლის მართლმსაჯულება პოლიტიკური პარტიების პროგრამებში 16

სუს-ის რეფორმა და პირადი ცხოვრების უფლების დაცვა პოლიტიკური პარტიების პროგრამებში.....20

საპოლიციო სისტემის რეფორმა პოლიტიკური პარტიების პროგრამებში.....25

ნარკოპოლიტიკა პოლიტიკური პარტიების პროგრამებში .30
დეკრიმინალიზაცია 31
ნარკოტიკული საშუალებების ოდენობები 32
იძულებითი ნარკოლოგიური შემოწმება.....33
სამედიცინო, სოციალური და ზიანის შემცირების პროგრამები 33

შრომის უფლების დაცვისა და დასაქმების პოლიტიკის მიმოხილვა პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამებში.....34
შრომის პირობების ინსპექტირების მექანიზმის შექმნა და უფლების დაცვის სხვა მექანიზმები 35
დასაქმებულთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება

საკანონმდებლო დონეზე 36
დასაქმებულთა სოციალური დაცვის გარანტიები.....36
დასაქმების პოლიტიკა 37

სათანადო საცხოვრისის უფლება პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამებში.....40

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების რეალიზების ხედვა პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამებში.....44
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების შეფასების სოციალური მოდელის შექმნის აუცილებლობა 45
გარემოს ადაპტირება.....46
განათლება და დასაქმება.....47
ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა 48
საკანონმდებლო და ინსტიტუციური რეფორმა 49

სეკულარიზმი და თანასწორობის საკითხები პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამებში.....51
1. მართლმადიდებელ ეკლესიასთან ურთიერთობისა და სეკულარიზმის საკითხები.....52
2. რელიგიური და ეთნიკური უმცირესობები.....54
3. ლგბტ პირთა უფლებები და პოლიტიკური ჰომოფობიის ტენდენციები 60
4.ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა.....62

ქალთა რეპრეზენტაცია და 2016 წლის არჩევნები 64

მართლმსაჯულების საკითხები პოლიტიკური პარტიების პროგრამებში

წარმოდგენილი ტექსტი მიმოიხილავს პოლიტიკური პარტიების ძირითად ხედვებს სასამართლო სისტემის რეფორმის მიმართულებებთან დაკავშირებით. აგრეთვე, ყურადღება გამახვილებულია რამდენად ეფუძნება პარტიების ხედვა არსებული ვითარების სრულყოფილ შეფასებას, ხარვეზებისა და გამოწვევების სათანადო გააზრებას, რამდენად ცხადია პარტიების პოლიტიკური დღის წესრიგი კრიზისის დაძლევის გზებთან დაკავშირებით და რამდენად ადეკვატურად პასუხობს მათ მიერ შემოთავაზებული გზები სასამართლო სისტემაში დღეს არსებულ გამოწვევებს.

სასამართლო ხელისუფლებაში არსებული კრიზისი და მართლმსაჯულების სისტემისადმი ნდობის დაბალი ხარისხი ისეთ საკითხებს უკავშირდება, როგორებიცაა: მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის ხარვეზიანი სისტემა, მოსამართლეთა კარიერული წინსვლისა და გადაადგილების ბუნდოვანი რეგულირებები, დისციპლინურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ხარვეზები, საქმეთა განაწილების მანკიერი პროცედურა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის მარეგულირებელი სათანადო საკანონმდებლო ჩარჩოს არარსებობა და სხვა.

პარტიების პროგრამების ანალიზის საფუძველზე, ზოგადი შეფასების სახით უნდა ითქვას, რომ საკმარისი ძალისხმევა არ არის გაწეული სასამართლოში დღეს არსებული ვითარების და იმ პოლიტიკურ-სამართლებრივი რეალობის ანალიზისთვის, რომელიც თვისობრივად განსხვავებული და კომპლექსურია. ამდენად, გეგმების დიდი ნაწილი ძირითადად ზოგადი ხასიათისაა, ზოგიერთ შემთხვევაში კი არაგონივრულად რადიკალური და სისტემურ გააზრებას მოკლებული ნაბიჯებია შემოთავაზებული.

1. მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის სისტემა

მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის მოქმედი წესი სასამართლო სისტემაში არსებულ ერთ-ერთ ყველაზე მწვავე გამოწვევას წარმოადგენს. გაანალიზებული პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამები ამ ნაწილში ნაკლებად ცხადი და კონკრეტულია, ცალკეულ შემთხვევებში კი საერთოდ ყურადღების მიღმა რჩება გამჭვირვალე და სამართლიანი შერჩევა-დანიშვნის სისტემის შექმნის საჭიროება.

„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ საარჩევნო პროგრამაში საუბარია სასამართლო რეფორმის მესამე ეტაპის განხორციელების შედეგად, მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის წესის დახვეწაზე. სასამართლო რეფორმის „მესამე ტალღა“, რომელიც მიუხედავად ცალკეული საკითხების გაუმჯობესებული რეგულირებისა, ვერ პასუხობს სისტემაში არსებულ გამოწვევებს და არ შეიძლება ჩაითვალოს როგორც საბოლოო ნაბიჯი არსებული პრობლემების მოგვარების პროცესში. ამასთან, სამომავლო რეფორმების მხოლოდ „მესამე ტალღის“ ცვლილებებთან დაკავშირება აჩენს განცდას, რომ პარტია სრულყოფილად არ ხედავს შერჩევა-დანიშვნასთან დაკავშირებული ხარვეზების კომპლექსურ და სისტემურ ხასიათს.

მოსამართლეთა დანიშვნის წესის მაქსიმალურ გამჭვირვალობასა და განჭვრეტად, ეფექტურ და ობიექტურ კრიტერიუმებზე საუბარია **„ირაკლი ალასანია - თავისუფალი დემოკრატების“** საარჩევნო პროგრამაში. თუმცა, “თავისუფალი დემოკრატები” ვერ გვთავაზობენ ფართო ხედვასა და მოცულობით აქტივობებს, რომლებიც შერჩევა-დანიშვნის ერთიანი სისტემის თითოეულ ეტაპზე სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპების დაცვას უზრუნველყოფს, მაგალითად როგორი უნდა იყოს საბჭოსა და სკოლას შორის ფუნქციების განაწილება, როგორ უნდა უზრუნველყოს საბჭომ გადაწყვეტილების დასაბუთებულობა და სამართლიანი პროცედურებით გადაწყვეტილების მიღება.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოსგან იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებლობა და იუსტიციის მსმენელთა მისაღები კონკურსის ჩატარება სკოლის მიერ გათვალისწინებულია **„საქართველოს**

რესპუბლიკური პარტიის“ პროგრამაში, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. თუმცა, დამატებით აუცილებელია იუსტიციის მსმენელთა შერჩევის პროცესი გახდეს უფრო გამჭვირვალე, შეფასების წესი, კრიტერმიუმები და გადაწყვეტილების მიღების პროცედურა კი ცხადად რეგლამენტირებული.

„რესპუბლიკური პარტიის“ პროგრამა ასევე ითვალისწინებს საბჭოს მიერ გამჭვირვალე კონკურსის საფუძველზე შერჩეული კანდიდატების დანიშვნას პრეზიდენტის მიერ, რაც პრობლემური საკითხია. გასათვალისწინებელია, რომ ქვეყანაში მოქმედებდა მსგავსი მოდელი, როდესაც საბჭო პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს ფუნქციას ითავსებდა. თუმცა, დღეს მოსამართლეების დანიშვნა საბჭოს კონსტიტუციურ ვალდებულებას წარმოადგენს, რასაც არაერთი უპირატესობა გააჩნია. პოლიტიკური შემადგენლობისგან დაცლილი პროფესიული ორგანოს მიერ კრიტერიუმებზე დაფუძნებული დანიშვნის პროცესი უფრო მეტად დაცული უნდა იყოს პოლიტიკური გავლენების რისკებისგან.

არსებითად ახალ მოდელს გვთავაზობს **„ეროვნული ფორუმი”**, რომლის საარჩევნო პროგრამა ითვალისწინებს პირველი და მეორე ინსტანციის მოსამართლეთა კორპუსის საერთო-სახალხო კენჭისყრის (არჩევნების) საშუალებით დაკომპლექტებას. ამგვარი წესი ერთი შეხედვით დემოკრატიული ლეგიტიმურობის ხარისხის გაზრდას უწყობს ხელს, თუმცა, საზიანოა მრავალი თვალსაზრისით. პირდაპირი წესით არჩევის შემთხვევაში იზრდება რისკი, რომ მივიღოთ “უმრავლესობის სასამართლო”, რაც მოსამართლეობის კანდიდატებს უბიძგებს საზოგადოების კეთილგანწყობის მოპოვებისაკენ, უმრავლესობის იდეების და ღირებულებების გაზიარებისკენ, საარჩევნო კამპანიაში ჩართვისა და პოპულისტური იდეების გაზიარებისკენ. ამგვარი მოდელის შედეგი შეიძლება იყოს ნაკლებად კვალიფიციური ან კომპეტენტური მოსამართლე. ასევე, უმრავლესობის მიერ არჩეული მოსამართლე, რომელიც მოწოდებულია თანხვედრაში იყოს უმრავლესობის ინტერესებთან (ვინაიდან გათავისუფლების გადაწყვეტილების მიღებაც უმრავლესობის ხელშია), განსაკუთრებით საზიანო შეიძლება იყოს უმცირესობების და მოწყვლადი ჯგუფების უფლებებისთვის, ასევე თავისუფლებისა

და თანასწორობის ღირებულებების განმტკიცებისთვის.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ სასამართლო დამოუკიდებლობის განმტკიცების გზად ზედა ინსტანციის სასამართლოებში კვალიფიციური და მაღალი რეპუტაციის მქონე უცხოელი მოსამართლეების დანიშვნას მიიჩნევს. უცხოელი მოსამართლეების მოწვევის იდეა გასულ პერიოდში გაჟღერებული იყო **„ახალი პოლიტიკური ცენტრი გირჩის“** მხრიდანაც. ამგვარი მიდგომა პრაქტიკული თვალსაზრისით ბევრ წინააღმდეგობასთან და სირთულესთან არის დაკავშირებული. თუმცა, გარდა მოქმედ სამართლებრივ სისტემაში მსგავსი იდეის განხორციელების რეალურობისა, იქმნება განცდა, რომ ხედვა არ ეფუძნება არსებული სისტემური გამოწვევების სიღრმისეულ გააზრებას და არ არის გათვლილი გრძელვადიან შედეგებზე. მართლმსაჯულების დამოუკიდებლობას და ხარისხს დიდწილად სწორედ ხარვეზიანი ინსტიტუციური მოწყობა და საკანონმდებლო გარანტიები, ასევე დამოუკიდებლად არსებობის მწირი გამოცდილება განაპირობებს და არა ცალკეული მოსამართლეების ეთნიკური ან კულტურული წარმომავლობა ან კავშირები. გარდა ამისა, საკამათოა, რამდენად შეუწყობს ხელს “დენაციონალიზებული სასამართლოს” იდეა მართლმსაჯულების სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებას და რამდენად გამოიწვევს რეალურ, ხელშესახებ შედეგებს სასამართლო დამოუკიდებლობის განმტკიცების პროცესში.

2. დისციპლინური სამართალწარმოება

მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩოს ხარვეზებისა და ნაკლოვანებების პირობებში, ასევე დისციპლინური წარმოების არამიზნობრივი გამოყენების ისტორიის გათვალისწინებით, არსებითად მნიშვნელოვანია დისციპლინური სამართალწარმოების სისტემის რეფორმა, რომელიც ერთი მხრივ, გააძლიერებს მოსამართლეთა დამოუკიდებლობას, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფს პასუხისმგებლობის სათანადო მექანიზმების შექმნას.

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“

საარჩევნო პროგრამის თანახმად, რეფორმის მესამე ეტაპის განხორციელების შედეგად, დაიხვეწება დისციპლინური წარმოების პროცედურები. როგორც ზემოთ აღინიშნა, „მესამე ტალღა“ არ შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც რეფორმის საბოლოო ეტაპი, რომელიც სასამართლო სისტემაში არსებული ნაკლოვანებების სრულად აღმოფხვრას ემსახურება. მითუმეტეს, რომ “მესამე ტალღა” არ მოიცავს ისეთ კრიტიკულ საკითხს როგორიც არის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების დახვეწა, რაც დისციპლინური წარმოების არაჯანსაღი გამოყენების ერთ-ერთი მთავარი საფუძველია.

არსებითად განსხვავებული მიდგომა აქვს **„ეროვნული ფორუმს“,** რომელიც დისციპლინური დევნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ შესაბამისი ორგანოს დასკვნის არსებობისას, საბოლოო გადაწყვეტილების მიმღებად იმ ოლქს განიხილავს, სადაც მოსამართლე აირჩიეს. ამგვარი მოდელი ვერ უზრუნველყოფს პასუხისმგებლობის სამართლიანი და დემოკრატიული სისტემის ჩამოყალიბებას, რადგან ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა გადამწყვეტი იყოს საზოგადოების განწყობა ცალკეული მოსამართლის მიმართ და არა მის მიერ სავარაუდოდ ჩადენილი გადაცდომა, რამაც შეიძლება უმრავლესობის მხრიდან მოსამართლეზე ზეგავლენის რისკები შექმნას.

3.სასამართლოში საქმეთა განაწილება

სასამართლოში საქმეთა განაწილების დღეს მოქმედი წესი იძლევა მანიპულირებისა და ჩარევის შესაძლებლობას, რაც საფრთხეს უქმნის სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას.

აღნიშნულ საკითხზე ყურადღებას ამახვილებს **„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსა**“ და **„საქართველოს რესპუბლიკური პარტიის“** საარჩევნო პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებს საქმეების განაწილებას შემთხვევითობის წესით, ელექტრონული ფორმით, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული წესის ყოველგვარი დაყოვნების

გარეშე დროულად ამოქმედება არსებითად მნიშვნელოვანი იყო სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად, თუმცა, პოლიტიკური ნების არარსებობისა და გარკვეული ჯგუფების მხრიდან წინააღმდეგობების პირობებში, საქმეთა ელექტრონული განაწილება ამ დრომდე ვერ ამოქმედდა.

4. სასამართლოს თავმჯდომარეები

სასამართლოს თავმჯდომარეთა პრაქტიკულად შეუზღუდავი ძალაუფლება და სასამართლოებში არსებული არაჯნსაღი იერარქია წლების განმავლობაში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა. თავმჯდომარეთა არჩევის მოქმედი წესიც პრობლემურია.

სასამართლოს თავმჯდომარეების საკითხს **„ირაკლი ალასანია - თავისუფალი დემოკრატების“** საარჩევნო პროგრამა ითვალისწინებს. აღნიშნული პარტია გვთავაზობს თავმჯდომარის არჩევას თავად სასამართლოს შემადგენლობის მიერ – როტაციულად, არაუმეტეს 3 წლის ვადით. თავმჯდომარეთა არჩევა თავად მოსამართლეთა კორპუსის მიერ არასამთავრობო ორგანიზაციების ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნას წარმოადგენდა. ასეთი მოდელი გაზრდის პროცესის დემოკრატიულობის ხარისხს და წინგადადგმული ნაბიჯი იქნება სასამართლო ხელისუფლებისა და ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობის განმტკიცების პროცესში. თუმცა, არჩევის წესის ცვლილებასთან ერთად, მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს თავმჯდომარეთა უფლებამოსილების განსაზღვრის საკითხსაც.

„საქართველოს რესპუბლიკური პარტია“ გვთავაზობს თავმჯდომარეთა არჩევას წილისყრით, ასევე, სასამართლოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, კოლეგიის თავმჯდომარის ფუნქციების კანონით განსაზღვრას, რომელთა შორის უმთავრესი სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება იქნება.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმა

„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ საარჩევნო პროგრამაში აღნიშნავს, რომ განხორციელდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმა. თუმცა, რეფორმის მიმართულებები და ცალკეული აქტივობები დაკონკრეტებული არ არის და შესაბამისად რთულია შეფასდეს, რამდენად პასუხობს პარტიის ხედვა იმ გამოწვევებს, რაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში იკვეთება, კერძოდ, პროცედურული საკითხების საკანონმდებლო დონეზე რეგულირების არარსებობა, საბჭოს გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობა და გასაჩივრების პრობლემები, ინტერესთა კონფლიქტისა და აცილების საკითხები, საბჭოს ღიაობისა და გამჭვირვალობის პრობლემა.

აღნიშნულის მსგავსად, **„საქართველოს რესპუბლიკური პარტიის“** პროგრამა ითვალისწინებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის მკაფიო საკანონმდებლო მოწესრიგებას, რაც უზრუნველყოფს მის გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას.

6.მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადით დანიშვნა

გამოსაცდელი ვადით დანიშვნა შესაძლოა გახდეს ინდივიდუალურ მოსამართლეზე ზემოქმედების საშუალება, რაც საფრთხეს უქმნის მის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას.

3 წლიანი გამოსაცდელი ვადის გაუქმებას მხარს უჭერს **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“,** ასევე „**ირაკლი ალასანია - თავისუფალი დემოკრატები**“. „თავისუფალი დემოკრატები“ გამოსაცდელი ვადის ალტერნატივად განიხილავენ იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლის პერიოდის არანაკლებ 3 წლამდე ვადით გაზრდას, რამაც უნდა ჩაანაცვლოს საპრობაციო ვადით გამწესების და ამ პერიოდში მოსამართლის საქმიანობაზე მონიტორინგის განხორციელების არსებული წესი. აღსანიშნავია, რომ ამგვარი ცვლილება პირველ რიგში, მოითხოვს იუსტიციის უმაღლესი სკოლის საფუძვლიან რეფორმასა და სასწავლო პროგრამების არსებითად გაუმჯობესებას.

“**<u>ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს</u>**” საარჩევნო პროგრამაში 3 წლიანი გამოსაცდელი ვადის საკითხის გადასინჯვა გათვალისწინებული არ არის, უფრო მეტიც, საარჩევნო პროგრამაში 2014 წელს განხორციელებული ცვლილებები მოხსენიებულია არა როგორც მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადის შემოტანა, არამედ მოსამართლეთა შეფასების სისტემის დანერგვა, რაც არასრულყოფილ ინფორმაციას წარმოადგენს.

7.საკონსტიტუციო სასამართლო

საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებლობის განმტკიცებას და ინსტიტუციური რეფორმების განხორციელებას პროგრამებში შედარებით მცირე ადგილი ეთმობა.

<u>„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“</u> საარჩევნო პროგრამა პოზიტიურად აფასებს ბოლო პერიოდში განხორციელებულ რეფორმას, რომელმაც არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, არსებითად შეასუსტა სასამართლოს ეფექტურობა და შექმნა შიდა კრიზისების რეალური საფრთხე. რაც შეეხება სამომავლო რეფორმებს, ზოგადი ჩანაწერის სახით აღნიშნულია, რომ უზრუნველყოფილი იქნება საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებლობა როგორც მმართველი პარტიის, ისე სხვა პოლიტიკური ძალების გავლენისგან და საპარლამენტო კვოტის ფარგლებში, თანამდებობაზე გამწესდებიან მაღალი კვალიფიკაციისა და სათანადო რეპუტაციის მქონე იურისტები.

ახლებურ მიდგომას ითვალისწინებს **<u>„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“</u>** საარჩევნო პროგრამა, რომელიც აცხადებს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში მოსამართლეები დაინიშნებიან სიცოცხლის ბოლომდე, თუმცა, სადავოა მხოლოდ უვადო დანიშვნის საკითხის დაყენება რამდენად ადეკვატურია საკონსტიტუციო სასამართლოში არსებობული რეალობის და გამოწვევების ფონზე.

<u>„ირაკლი ალასანია - თავისუფალი დემოკრატების</u>“ პროგრამა ითვალისწინებს „ქართული ოცნების“ მიერ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების გაუქმებას. ასევე, სასამართლო

გადაწყვეტილებების საქართველოს კონსტიტუციასთან და ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის სტანდარტებთან შესაბამისობის ეფექტური კონტროლის მიზნით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის საერთო სასამართლოების შემაჯამებელი გადაწყვეტილებების ამ კუთხით შემოწმების ფუნქციის მინიჭებას. საერთო სასამართლოების საბოლოო გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობის შემოწმების უფლებამოსილების მინიჭებას ასევე ითვალისწინებს **„საქართველოს რესპუბლიკული პარტიის”** პროგრამა.

საკონსტიტუციო სასამართლოს მანდატის გაფართოებაზე დისკუსიის დაწყება საჭირო და მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რამაც ქვეყანაში, ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით გავლენა უნდა იქონიოს.

პროკურატურისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა პოლიტიკური პარტიების პროგრამებში

I.პროკურატურისა და საგამოძიებო სისტემის რეფორმა პოლიტიკური პარტიების პროგრამებში

პროკურატურის სისტემაში, მთავარი პროკურორის დანიშვნის პროცედურების შეცვლა მნიშვნელოვან რეფორმად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, აღნიშნული არ იყო საკმარისი სისტემის ინსტიტუციური დამოუკიდებლობისა და დეპოლიტიზირების უზრუნველსაყოფად. ამავდროულად, სერიოზულ დახვეწას და გაუმჯობესებას საჭიროებს გამოძიების სისტემა, რათა გამოძიების და სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესები წარიმართოს იმგვარად, რომ არ მოხდეს პირთა უფლებების უსაფუძვლო შელახვა და სამართალდამცავთა მხრიდან უფლებამოსილების გადამეტება.

ამ კუთხით ძირითად გამოწვევებს წარმოადგენს:

- მთავარი პროკურორის შერჩევა/დანიშვნის პროცედურები და სისტემის დეპოლიტიზირება;

- პროკურორის როლი გამოძიების პროცესში (იგივე საპროცესო ზედამხედველობის უფლებამოსილების ფარგლები);

გასულ წლებში პროკურატურის სისტემა და მათი მიმართება გამოძიების სამსახურებთან არაერთხელ გამხდარა სამოქალაქო საზოგადოების კრიტიკის საგანი. მიუხედავად ამისა, მმართველი პოლიტიკური ძალის მიერ მხოლოდ ფრაგმენტულად ხდებოდა პრობლემის აღიარება და შესაბამისად, საკმარისი არ იყო გატარებული ცვლილებები იმ სისტემური პრობლემების აღმოსაფხვრელად, რაც მანამდე არსებობდა.

1. მთავარი პროკურორის შერჩევა დანიშვნა და პროკურატურის დეპოლიტიზირება

მთავარი პროკურატურის შერჩევა/დანიშვნის პროცედურები პირდაპირ კავშირშია პროკურატურის სისტემის დეპოლიტიზირებასთან. უფრო სწორედ, ზემოაღნიშნული პროცედურები დიდწილად განაპირობებს პოლიტიკური ნეიტრალიტეტის ხარისხს სისტემაში.

“ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს” საარჩევნო პროგრამაში აღნიშნულია, რომ 2015 წელს გატარებული ცვლილებებით უკვე უზრუნველყოფილია პროკურატურის დეპოლიტიზირება და მთავარი პროკურორის შერჩევა/დანიშვნის პროცედურები სრულად პასუხობს ქვეყანაში არსებულ გამოწვევებს. შესაბამისად, ამ კუთხით მმართველი პოლიტიკური გუნდის პროგრამაში ვერ ვხვდებით სამომავლო გეგმებსა და ნაბიჯებს.

„**ირაკლი ალასანია - თავისუფალი დემოკრატების**“ საარჩევნო პროგრამაში სამართლიანად არის გაკრიტიკებული მთავარი პროკურორის შერჩევა/დანიშვნის ახლებურად განსაზღვრული პროცედურები. კერძოდ, ყურადღება გამახვილებულია პარლამენტის მიერ საბოლოო ეტაპზე გადაწყვეტილების მხოლოდ უბრალო უმრავლესობით მიღებაზე, რაც ზრდის მმართველი პოლიტიკური ძალის გავლენებს. აგრეთვე უარყოფითად არის შეფასებული იუსტიციის მინისტრის აქტიური როლი უშუალოდ კანდიდატების შერჩევის პროცესსა და საპროკურორო საბჭოს საქმიანობაში. პარტიას შესაძლოა გამოსავლად მიაჩნია პროცესებში პრეზიდენტის ჩართულობა, საპროკურორო საბჭოსთვის მეტი დამოუკიდებლობის მინიჭება, მთავარი პროკურორის შეუზღუდავი უფლებამოსილების გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევა და ეფექტური ანგარიშვალდებულების მექანიზმების დანერგვა.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პროგრამაში პრობლემურად არის დასმული პროკურატურის პოლიტიზირება და მისი გადაჭრის გზად დასახულია მთავარი პროკურატურის შერჩევა/დანიშვნის ახალი წესების განსაზღვრა, სადაც გაზრდილი

როლი ექნება პარლამენტს.

ამ მიმართულებით პარლამენტის გაძლიერებაზე ყურადღება გამახვილებულია **„საქართველოს რესპუბლიკური პარტიის**“ პროგრამაშიც. კერძოდ, აღნიშნულია, რომ პარლამენტს უნდა ჰქონდეს დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნისა და საგანგებო პროკურორის დანიშვნის მოქნილი მექანიზმი, რომლითაც უზრუნველყოფს შესაძლო პოლიტიკური ინტერესების მქონე საქმეების სწრაფ და ეფექტურ გამოძიებას. „საქართველოს რესპუბლიკური პარტიის“ პროგრამაში ყურადღება გამახვილებულია მთავარი პროკურორის შერჩევა/დანიშვნის პროცედურების გაუმჯობესებაზეც, რის შემდეგაც შესუსტდება მმართველი პოლიტიკური გუნდის გავლენები პროცესზე. კერძოდ, პრეზიდენტს მიენიჭება უფლებამოსილება, საპროკურორო საბჭოს მიერ შერჩეული კანდიდატი დანიშნოს თანამდებობაზე პარლამენტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობის თანხმობით. პროგრამაში აგრეთვე საუბარია პროკურატურის კონსტიტუციური როლისა და სტატუსის განსაზღვრის აუცილებლობასა და მისი ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გაძლიერებაზე.

2. პროკურორის როლი გამოძიების პროცესში

სრულყოფილი და ობიექტური გამოძიების წარმოება ყოველთვის საკმარისად უზრუნველყოფილი არ არის შესაბამისი ორგანოების მიერ. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა გამოძიება მთლიანად სისხლისსამართლებრივი დევნის მიზნებს ემსახურება, პროკურორი კი ზედმეტად აქტიურად არის ჩართული გამოძიების პროცესში და ის არათუ გამოძიების ზედამხედველის, არამედ მისი წარმმართველის როლში გვევლინება. აღნიშნული მდგომარეობა განპირობებულია პროკურორისთვის მინიჭებული ზედმეტად ფართო უფლებამოსილებით, რომლითაც ის სავალდებულოდ შესასრულებელ მითითებებს აძლევს გამომძიებელს გამოძიების წარმოებასთან დაკავშირებით, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, არ სარგებლობს საკმარისი დამოუკიდებლობით.

„**ერთიანი ნაციონალური მოძრაობის**“ პროგრამაში მითითებულია, რომ პროკურატურას საგამოძიებო

უფლებამოსილება უნდა ჩამოერთვას და ის უნდა იყოს მხოლოდ დევნის ორგანო. აღნიშნული იდეა დადებითად შეიძლება შეფასდეს, თუმცა უშუალოდ კონკრეტული საქმეების გამოძიებისას პროკურორის საგამოძიებო როლზე და მონაწილეობაზე პროგრამაში არ გვხდება შეფასებები ან ხედვები. ამ საკითხზე ყურადღება არაა გამახვილებული არც სხვა პარტიების პროგრამებში. „**საქართველოს რესპუბლიკური პარტიის**“ წინასაარჩევნო პროგრამაში ზოგადად შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმაზეა საუბარი, თუმცა საგამოძიებო სისტემის დახვეწაზე არც მათ მიერ წარმოდგენილ პროგრამაშია საუბარი.

II. სისხლის სამართლის მართლმსაჯულება პოლიტიკური პარტიების პროგრამებში

სისხლის სამართლის მართლმსაჯულება ფართო სფეროა და ის უკავშირდება როგორც კონკრეტული ინსტიტუტების თუ სახელმწიფო ორგანოების საქმიანობასა და მოწყობას, აგრეთვე ქვეყანაში არსებულ მატერიალურ და პროცესუალურ კანონმდებლობას. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დახვეწის, მისი ჰუმანურ პრინციპებზე დამყარების მიზნით ბოლო წლებში რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა, თუმცა მთელი რიგი რეფორმები ამ მდგომარეობით ნაკლოვანი ან დაუსრულებელია.

ამ კუთხით ძირითად გამოწვევებს შორისაა:

- მხარეთა შეჯიბრებითობა სისხლის სამართლის პროცესში;
- ნაფიც მსაჯულთა სასამართლო;
- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმირება.

1. მხარეთა შეჯიბრებითობა

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ საარჩევნო პროგრამაში აღნიშნულია, რომ გაგრძელდება კანონმდებლობის ლიბერალიზაციაზე მუშაობა, რაც სავარაუდოდ სისხლის სამართლის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში შემუშავებული სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებების საბოლოოდ მიღებას გულისხმობს. თუმცა, მხარეთა შეჯიბრებითობა ცალკე მიმართულებით საჭიროებს მუშობას, სადაც უზრუნველყოფილი იქნება დაცვის მხარის პროცესუალური გაძლიერება, ადვოკატთა კორპუსის ინსტიტუციური გარანტიების განმტკიცება და მოსამართლის აღჭურვა იმ ინსტრუმენტებით, რაც ბოლომდე უზრუნველყოფს შეჯიბრებითი პროცესის წარმოებას. მხარეთა შეჯიბრებითობაზე ცალკე მითითება პროგრამაში არ არის.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პროგრამაში მითითებულია, რომ აუცილებელია ადვოკატთა გაძლიერება, კერძოდ, მათთვის მეტი პროცესუალური უფლებამოსილებების მინიჭება, რაც პირდაპირ ემსახურება შეჯიბრებითობის პრინციპს. აგრეთვე პოზიტიურად უნდა შეფასდეს მოწმეთა სასამართლოს წინაშე დაკითხვის შემოთავაზებული წესი, რაც გულისხმობს საპროცესო კოდექსის თავდაპირველი რედაქციით სრულად ამოქმედებას, რომლის დროსაც ორივე მხარე მოწმის დაკითხვის თითქმის თანაბარი უფლებამოსილებით სარგებლობს და სადაც მოწმე მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება დაიკითხოს არსებითი სხდომის გამართვამდე, დანარჩენ შემთხვევაში კი დაკითხვა წარმოებს ორივე მხარის მონაწილეობით, საქმის განმხილველი მოსამართლის წინაშე. აღნიშნული სამოქალაქო საზოგადოების დიდი ხნის მოთხოვნაა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს როგორც ბრალდებულის, ისე მოწმის სამართლებრივ მდგომარეობას სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში. სამწუხაროდ, „**ირაკლი ალასანია-თავისუფალი დემოკრატებისა**“ და „**საქართველოს რესპუბლიკური პარტიის**“ საარჩევნო პროგრამებში ამ საკითხზე ყურადღება არაა გამახვილებული.

2. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო იქცა ქართული სისხლის სამართლის და განსაკუთრებით კი მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის აუცილებელ ელემენტად, რომლის გარეშეც შეუძლებელია ეფექტურ და სრულყოფილ მართლმსაჯულებაზე საუბარი. აღნიშნული ინსტიტუტი, ერთი მხრივ, არის შეჯიბრებითობის პრინციპის გარანტი, მეორე მხრივ კი უზრუნველყოფს საზოგადოების რიგითი წევრების მართლმსაჯულებაში ჩართულობას და ამ გზით მათი სამართლებრივი კულტურის გაზრდას. ამავდროულად, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი არის მართლმსაჯულების მიმართ საზოგადოების ნდობის გაზრდის მნიშვნელოვანი განმაპირობებელი. ამ კუთხით, "**ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს**", "**ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა**" და "**ირაკლი ალასანია-თავისუფალი დემოკრატების**" საარჩევნო პროგრამებში ცალსახადაა დაფიქსირებული, რომ აუცილებელია ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის უფრო აქტიურად ამოქმედება და მისი განსჯადობის გაფართოება როგორც გეოგრაფიული, ისე სისხლის სამართლის საქმეების კატეგორიების თვალსაზრისით, რაც ნამდვილად მისასალმებელია. ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედი ხელისუფლების პირობებში ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ხშირად გაისმოდა სკეპტიკური განცხადებები ან კრიტიკა ამ ინსტიტუტის მიმართ და მუდმივად არსებობდა მინიშნება მისი მოდიფიცირების საჭიროებაზე. შესაძლოა, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს მართლაც ჭირდება გაძლიერება და გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, თუმცა მნიშვნელოვანია მოხდეს შეთანხმება, რომ ცვლილებები არ უნდა იყოს მიმართული აღნიშნული ინსტიტუტის არსის შეცვლის, შესუსტების ან დამახინჯებისაკენ.

3. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი და მისი სისტემური რეფორმა წლებია სამოქალაქო საზოგადოებაში აქტიურად განიხილება და მუდმივად არის მოწოდებები,

რომ განხორციელდეს კოდექსის საფუძვლიანი ცვლილება. დღეს სამართალდარღვევათა კოდექსი ერთი მხრივ შეიცავს ბევრ მოძველებულ, წმინდად საბჭოთა სამართლებრივი რეალობისთვის დამახასიათებელი შინაარსის ნორმებს, რიგი დისპოზიციები (წვრილმანი ხულიგნობა, სამართალდამცავის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა და სხვა) კი ფორმულირებულია მეტად ბუნდოვნად, რაც სამართალდამცავებს თვითნებობის შესაძლებლობას უტოვებს. ამავდროულად, ხარვეზიანი და მთლიანად დასახვეწია კოდექსის პროცესუალური ნაწილიც, რომელიც ხშირ შემთხვევაში ყველანაირი დაცვის გარეშე ტოვებს ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს და არ აძლევს ადეკვატურ სამართლებრივ ბერკეტებს, სასამართლოს წინაშე საკუთარი პოზიციების დასასაბუთებლად.

სუს-ის რეფორმა და პირადი ცხოვრების უფლების დაცვა პოლიტიკური პარტიების პროგრამებში

2015 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უსაფრთხოების სამსახურის გამიჯვნა მნიშვნელოვან ნაბიჯად უნდა შეფასდეს, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ რეფორმამ სამართალდამცავი სისტემის დეპოლიტიზირების და დემოკრატიული მოწყობის მყარი გარანტიები ვერ შექმნა. დღეს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური განსაკუთრებული იძალაუფლების მქონე, სრულიად დახურულ ორგანოდ წარმოგვიდგება, რომლის ეფექტური საზოგადოებრივი კონტროლი პრაქტიკულად შეუძლებელია. განსაკუთრებით მწვავედ დგას ფარული თვალთვალისა და მიყურადების სისტემის ხარვეზები, რომელიც ინსტიტუციურად სწორედ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დაქვემდებარებაშია, რაც ასევე დაადასტურა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ.

1. ანგარიშვალდებულების გაზრდა და საპარლამენტო ზედამხედველობა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული არაერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია გასაიდუმლოებულია. უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მიერ პარლამენტის წინაშე ანგარიშით წარდგენა კი, ვერ უზრუნველყოფს სუს-ის საქმიანობაზე რეალური კონტროლის განხორციელებას. საპარლამენტო კონტროლის განხორციელებას ხელს უშლის სპეციალური ფორმატის არარსებობა, რომელსაც ექნება ფართო უფლებამოსილება მონიტორინგი გაუწიოს სუს-ის და სხვა სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობას.

„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ პროგრამაში გამოხატული მიდგომა არ ეფუძნება სისტემაში არსებული მსგავსი ხარვეზების იდენტიფიცირებას და აღიარებას. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიშვალდებულების გაზრდისა და მასზე საპარლამენტო ზედამხედველობის განხორციელების ნაცვლად, „ქართული ოცნება“ ძირითად საჭიროებად სუს-ის დამოუკიდებლობის, ქმედითი

საქმიანობის უზრუნველყოფისა და სამომავლოდ რესურსების გაძლიერებას ასახელებს. თუმცა, სამომავლო რეფორმების კონკრეტული მიმართულებები იდენტიფიცირებადი არ არის.

დადებითად უნდა შეფასდეს **„ირაკლი ალასანია – თავისუფალი დემოკრატების“** პოზიცია, რომლის თანახმადაც მიზანშეწონილია პარლამენტში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობაზე ეფექტური საპარლამენტო ზედამხედველობის განმახორციელებელი მექანიზმის ფორმირება.

2017 წლიდან სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გაუქმების ინიციატივით გამოდის **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა**“, რომელიც არსებული ვითარებიდან გამოსავალს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში კონტრ-დაზვერვისა და ანტიტერორისტული დეპარტამენტების მოქმედებაში ხედავს და არა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემაში არსებული გამოწვევების გადალახვაში. თუმცა **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა**“-ის შემოთავაზებული მოდელი – ერთი სტრუქტურის ხელში საპოლიციო და უსაფრთხოების სამსახურების თავმოყრა წლების განმავლობაში კრიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შემდგომი მოდერნიზაციის აუცილებლობაზე საუბრობს „**საქართველოს რესპუბლიკური პარტია“**. რესპუბლიკელები მიიჩნევენ, რომ სუს-ის პრიორიტეტებსა და სამსახურის მოქმედების ფარგლებს არა თავად სამსახური, არამედ პარლამენტი უნდა ადგენდეს. პარტია იზიარებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურზე ეფექტიანი საპარლამენტო კონტროლის დაწესების იდეას, მაგრამ არ საუბრობს ზედამხედველობის კონკრეტულ მექანიზმზე/მოდელზე.

2. სუს-ის ფართო უფლებამოსილებების დაბალანსება

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისათვის ფართო უფლებამოსილების მინიჭება ქმნის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ფუნქციათა დუბლირებისა და უფლებამოსილებების არამართლზომიერი გამოყენების რისკებს. განსაკუთრებით სახიფათოა გამოძიების განხორციელება იმ ორგანოს მიერ, რომელიც ამავდროულად კონტრდაზვერვითი საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილებით არის აღჭურვილი და ამ პროცესში, სასამართლო კონტროლის გარეშე ინფორმაციის მოპოვების საშუალება გააჩნია.

დადებითად უნდა შეფასდეს **„ირაკლი ალასანია – თავისუფალი დემოკრატების**“ მიდგომა, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს უნდა ჩამოერთვას გამოძიების წარმოების ფუნქცია. მისი საქმიანობის კონცენტრირება კი, უნდა მოხდეს სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე – შიდა და გარე, არსებული და მოსალოდნელი საფრთხეების იდენტიფიცირების, ანალიზის, პრევენციისა და აღკვეთის გზით.

„საქართველოს რესპუბლიკური პარტიის“ წინასაარჩევნო პროგრამა გვთავაზობს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ფუნქციათა ჩამონათვალს: სახელმწიფო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება, ანალიზი სისტემატიზაცია, სათანადო გადაწყვეტილებების მიღება, რეკომენდაციებისა და დასკვნების მომზადება, საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემებთან თანამშრომლობა. რესპუბლიკელები მიიჩნევენ, რომ სუს-ი არ უნდა ეწეოდეს სისხლისსამართლებრივ დევნას (სავარაუდოდ იგულისხმება გამოძიების წარმოება), არ უნდა წყვეტდეს, „სახელმწიფოებრივად სწორი“ რა შეიძლება იყოს, არ უნდა იღებდეს უფლებრივი შეზღუდვის გადაწყვეტილებებს კონკრეტული პირების მიმართ – იგი მხოლოდ ინფორმაციას უნდა აწვდიდეს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს.

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ და „**ერთიანი ნაციონალური მოძრაობა**“ წინასაარჩევნო პროგრამებში ამ საკითხზე ყურადღებას არ ამახვილებენ.

3. ფარული თვალთვალი და მიყურადება

საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებამ ახალი რეალობა შექმნა – ფარული მიყურადების არსებული სისტემა საქართველოს კონსტიტუციასთან წინააღმდეგობრივად იქნა ცნობილი. სასამართლომ დაადგინა, რომ პირადი ხასიათის ინფორმაციაზე პირდაპირი წვდომა და მეტადატის შეგროვების უფლებამოსილება არ უნდა ჰქონდეს ორგანოს, რომელიც ახორციელებს გამოძიებას და პროფესიულად დაინტერესებულია გაეცნოს ამ ინფორმაციას. ეს ეხება როგორც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს (სუს), ისე ნებისმიერ სახელმწიფო ორგანოს. სასამართლომ გაითვალისწინა, მოცემული გადაწყვეტილების აღსრულებისთვის ფუნდამენტური საკანონმდებლო ცვლილებების, რეფორმების გატარების საჭიროება და შესაბამისად, გადაწყვეტილების ამოქმედების თარიღად 2017 წლის 31 მარტი განსაზღვრა. ამ კონტექსტის გათვალისწინებით, საინტერესოა, პოლიტიკური პარტიების ხედვა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მიმართულებით.

„**ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო**“ თვლის, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა უზრუნველყოფილია, მაგრამ მიუხედავად ამისა, მიზანშეწონილად მიიჩნევს, კიდევ უფრო დაიხვეწოს პირადი ხელშეუხებლობის მარეგულირებელი კანონმდებლობა და ზედამხედველობის სისტემა. საუბარია ასევე, შიდა და გარე კონტროლის მექანიზმების განვითარებაზე, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფრო მაღალ სტანდარტზე, თუმცა ყოველგვარი დაზუსტების გარეშე.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ უკანონო ფარული მიყურადების შემთხვევებისა და პირად ცხოვრებაში უკანონო ჩარევის გამორიცხვის მიზნით, 2017 წლის იანვრამდე სამართალდამცავი ორგანოებისგან დამოუკიდებელი და საგამოძიებო ფუნქციის არმქონე ტექნიკური სამსახურის შექმნის ინიციატივით გამოდის, რაზეც არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადებულ კანონპროექტშია საუბარი. ფარული საგამოძიებო მოქმედებების განმახორციელებელი

სამსახურის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან გამოყოფას მიზანშეწონილად მიიჩნევენ **„ირაკლი ალასანია – თავისუფალი დემოკრატებიც**“, რომლებიც ხაზს უსვამენ ამ სამსახურის პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ, დამოუკიდებელ ორგანოდ ფორმირებაზე. ფარული მიყურადების შედარებით კონკრეტულ მოდელზე საუბრობს **„საქართველოს რესპუბლიკური პარტია“.** რესპუბლიკელებს კანონით ნებადართული ფარული ელექტრონული მოსმენების ტექნიკური უზრუნველყოფის, ელექტრონულ კომუნიკაციებთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების ბაზების შექმნისა და შესაბამისი ინფორმაციის გაცემის განმახორციელებელ ორგანოდ დამოუკიდებელი ფარული ელექტრონული თვალთვალის სააგენტო ესახებათ, რომლის ხელმძღვანელსაც კანონით განსაზღვრული ვადით დანიშნავს პარლამენტი და ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელი იქნება მხოლოდ პარლამენტის წინაშე. ოპერატიულ-სამძებრო მიზნებისათვის ფარული მოსმენებისა და პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების მუდმივი კონტროლი კი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს დაევალება. აღნიშნული მოდელიც დიდწილად ემყარება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადებულ საკანონმდებლო პაკეტში შესულ პრინციპებს.

საპოლიციო სისტემის რეფორმა პოლიტიკური პარტიების პროგრამებში

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ბოლო წლებში გატარებული რეფორმების მიუხედავად, ვერ განხორციელდა სისტემის სრული დეპოლიტიზება, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული, ეფექტიანი და ანგარიშვალდებული დემოკრატიული საპოლიციო მექანიზმების ფუნქციონირების უზრუნველყოფა. შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში მდგომარეობის გაუმჯობესების საჭიროებაზე პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2015 წლის ანგარიშიც მიუთითებს.

1. **დეპოლიტიზირება და სტრუქტურული რეფორმა**

პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დაცვა ბოლო პერიოდის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. შსს მინისტრის, როგორც პოლიტიკური თანამდებობის პირის გავლენები სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაზე არათანაზომიერად მაღალია, ხოლო კონკრეტული დეპარტამენტების ხელმძღვანელები არ სარგებლობენ საკმარისი ავტონომიის ხარისხით, იმისთვის რომ დამოუკიდებლად, პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დაცვით წარმართონ დაქვემდებარებული სამსახურების საქმიანობა. მინისტრი კვლავ ინარჩუნებს "პირველი პოლიციელის" სტატუსს.

„**<u>ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს</u>**" წინასაარჩევნო პროგრამაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპოლიტიცაზიას, უკვე შემდგარ მოვლენად აფასებს. წინასაარჩევნო პროგრამის ანალიზი ცხადყოფს, რომ პოლიციის პოლიტიკური ნეიტრალიტეტის გაძლიერების საკითხი „ქართული ოცნების" მიერ ცალსახად აღიარებულ საჭიროებას არ წარმოადგენს. იქედან გამომდინარე, რომ საკადრო პოლიტიკას პირდაპირი კავშირი აქვს პოლიტიკური ნეიტრალიტეტის გაძლიერებასთან, ყურადსაღებია, მაგრამ არასაკმარისი, „ქართული ოცნების" მიერ მითითებული ერთ-ერთ მიმართულება, რომელიც შსს-ს სისტემაში ადამიანური რესურსების მართვის ქმედითი სისტემის ჩამოყალიბებასა და

კარიერული წინსვლის ობიექტურ გარემოებებზე დაფუძნებას ეხება.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ერთ-ერთ პრობლემურ საკითხად პოლიციის პოლიტიზირებას ასახელებს, მაგრამ მათი წინასაარჩევნო პროგრამა არ საუბრობს ამ პრობლემის საპასუხოდ გასატარებელ ქმედით ნაბიჯებსა და აქტივობებზე. პოლიციის პოლიტიზირებულობაზე საუბრობს ასევე „ირაკლი ალასანია-თავისუფალი დემოკრატების“ პროგრამაც და მიუთითებს, რომ გატარებული საკანონმდებლო ცვლილებების მიუხედავად, კვლავაც არ არის უზრუნველყოფილი პოლიციის სისტემის რეალური დეპოლიტიზაცია, აღნიშნული გამოწვევის საპასუხოდ განსახორციელებელ კონკრეტულ ღონისძიებებსა და ქმედებებს კი, სამწუხაროდ, პროგრამები არ განსაზღვრავს.

„**საქართველოს რესპუბლიკური პარტია**“ მიუთითებს, რომ პოლიციის სისტემის სრული დეპოლიტიზება კვლავაც პრობლემად რჩება და გამოსავალს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური ხელმძღვანელობისა და პოლიციის ურთიერთდამოკიდებულების მკაფიოდ განსაზღვრაში ხედავს. საინტერესო და ყურადსაღებია რესპუბლიკელების ხედვა, რომ სამინისტროს ხელმძღვანელობა მხოლოდ მმართველობის სტრატეგიულ დონეზე უნდა მოქმედებდეს და მას არ უნდა ჰქონდეს ოპერატიულ დონეზე უშუალო პოლიციური ფუნქციების შესრულების უფლებამოსილება. ყურადსაღებია „საქართველოს რესპუბლიკური პარტიის“ წინასაარჩევნო პროგრამის ის ნაწილიც, სადაც საუბარია საკადრო საკითხებზე და აღნიშნულია, რომ პოლიციაში დაწინაურება კანდიდატის შესაბამის კვალიფიკაციასა და გამოცდილებას უნდა ეფუძნებოდეს, პოლიციის სამსახურში კანდიდატების შერჩევა კი, შსს-ს საგამოცდო კომისიის მიერ უნდა ხორციელდებოდეს.

2. ძალის გადამეტების პრევენცია და დაუსჯელობის პრობლემასთან ბრძოლა

წარსული გამოცდილებისა და არსებული კონტექსტის გათვალისწინებით, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს შსს მოსამსახურეთა მხრიდან ძალის გადამეტების პრევენცია.

სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან სისტემური დანაშაულების ჩადენას ხელი შეუწყო დაუსჯელობის სინდრომის არსებობამ ქვეყანაში, რაც უმეტესწილად განპირობებულია იმით, რომ არ ხორციელდება პოლიციელებისა და სხვა სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლების მიერ ჩადენილი დანაშაულების ეფექტური გამოძიება და პასუხისმგებელი პირების დასჯა.

სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლების მიერ ჩადენილი დანაშაულების ეფექტურ გამოძიებაზე წინასაარჩევნო პროგრამაში ყურადღებას არ ამახვილებს **„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო**”.

„**ირაკლი ალასანია-თავისუფალი დემოკრატები**“ არასამთავრობო სექტორის მიერ წარმოდგენილ ინიციატივაზე მიუთითებენ, რომელიც სამართალდამცავი სისტემის, მათ შორის პროკურატურის მოხელეთა მიერ, დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტების გამოსაძიებლად და სისხლისსამართლებრივი დევნის განსახორციელებლად დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნას გულისხმობს. პროგრამის ტექსტიდან გამომდინარე, ნათლად არ იკვეთება, ეთანხმებიან თუ არა ისინი ამ ინიციატივას. ამ საკითხზე მსჯელობისას, შეჯამების სახით, ზოგადად მიუთითებენ, რომ უნდა განხორციელდეს გამოძიების სისტემის რეფორმირება, იმგვარად, რომ სახელმწიფო ორგანოთა მიერ გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორიცელების პროცესში უზრუნველყოფილ იქნას ინტერესთა კონფლიქტის მინიმალიზება და მაქსიმალური ობიექტურობის მიღწევა.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ კი, ცალსახად მიუთითებს, პროკურატურისგან დამოუკიდებელი საგამოძიებო სამსახურის შექმნის თაობაზე, რომელიც სამართალდამცავთა მხრიდან დანაშაულის ჩადენის ფაქტებსა და აგრეთვე განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე დანაშაულებს გამოიძიებს.

სამართალდამცავ ორგანოში წამების შემთხვევების გამოძიებისათვის, **„საქართველოს რესპუბლიკური პარტია**“ საჭიროდ მიიჩნევს მხოლოდ პარლამენტის წინაშე

ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელი დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს შექმნას. პროგრამის ტექსტის ანალიზი მიუთითებს, რომ რესპუბლიკელები ვიწროდ მხოლოდ წამების დანაშაულის გამოძიებისთვის ხედავენ სპეციალური ფორმატის შექმნის საჭიროებას.

3. შიდა სტრუქტურული რეორგანიზაცია

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი მეტად ფართო კომპეტენციით სარგებლობს, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სამსახურის მოწყობა და საქმიანობის წესები თანამედროვე პოლიციურ პრინციპებს არ ეფუძნება.

„**ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო**“ კრიმინალური პოლიციის თაობაზე საუბრისას, ზოგადად მიუთითებს, რომ გაგრძელდება კრიმინალური პოლიციის მოდერნიზაცია ქვეყნის მასშტაბით. წინასაარჩევნო პროგრამაში ყურადღება გამახვილებული არ არის კრიმინალური პოლიციის ინსტიტუციურ რეფორმაზე, მაშინ როდესაც რეალურად დგას მეტი გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის, აგრეთვე, სამსახურისთვის ფუნქციური ავტონომიის მინიჭებისა და მართვის ცენტრალური რგოლიდან მისი დისტანცირების საჭიროება.

რაც შეეხება „**ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა**“ და **„ირაკლი ალასანია – თავისუფალი დემოკრატებს“,** აღნიშნული საკითხი, წინასაარჩევნო პროგრამებში, არც ერთს არ აქვს წამოწეული.

„**საქართველოს რესპუბლიკური პარტია**“ გამოდის ინიციატივით, შინაგან საქმეთა სამინისტროს საშინაო საქმეთა სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ და პოლიციას საშინაო საქმეთა სამინისტროს სისტემაში დეპარტამენტის სახით არსებულ სამართალდაცვის ორგანოდ მოიაზრებს. რესპუბლიკელები მიიჩნევენ, რომ უნდა გაუქმდეს ყველა საუწყებო საგამოძიებო ორგანო და გამოძიების ფუნქცია მხოლოდ კრიმინალური პოლიციას მიენიჭოს, გარდა წვრილმანი დანაშაულის, სამართალდამცავ ორგანოში წამების

შემთხვევისა და საკუთრივ კრიმინალურ პოლიციაში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების წარმოებისა. ცალკეული ორგანოების საგამოძიებო ფუნქციების გადახედვა საგამოძიებო სისტემის რეფორმის ერთიანი პროცესის ნაწილია, რაც მხოლოდ ამ თემით არ შემოიფარგლება და მათ შორის, გულისხმობს გამოძიების პროცესში გამომძიებლისა და პროკურორის ურთიერთობას, ეფექტური საპროკურორო ზედამხედველობის სისტემის შექმნას, გამოძიების სრულფასოვნად ჩატარებას.

ნარკოპოლიტიკა პოლიტიკური პარტიების პროგრამებში

ქვეყნაში მოქმედი ნარკოპოლიტიკა ხელს უწყობს სამართალდამცავი სისტემის ძალადობრივი და რეპრესიული ბუნების შენარჩუნებას და ის დაკავშირებულია ათიათასობით ადამიანის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობასთან. ნარკოპოლიტიკის მიმართულებით ძირითადი პრობლემური საკითხებია*:*

- ნარკოტიკული საშუალებების განმეორებით მოხმარების კრიმინალიზაცია;

- ნარკოტიკული საშუალებების ოდენობების განუსაზღვრელობა, რაც იწვევს უსამართლო სასჯელების გამოყენებას;

- იძულებითი ნარკოლოგიური შემოწმება, რასაც თან ახლავს სამართალდამცავთა მხრიდან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობა;

- ხარისხიანი სერვისები, სოციალური, სამედიცინო და ზიანის შემცირების სერვისები.

პარტიული პროგრამების გაანალიზება დაგვეხმარება გავიგოთ რა რაკურსით ხედავენ ნარკოპოლიტიკის საკითხებს და პრობლემას აღიქვამენ მხოლოდ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ნაწილად, თუ ასევე საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სოციალური მოწყვლადობის პრობლემად.

პარტია **„ირაკლი ალასანია - თავისუფალი დემოკრატების**“ წინასაარჩევნო პროგრამაში ნარკოპოლიტიკა ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების საკითხებთან ერთად გვხდება, რაც მიუთითებს, რომ აღნიშნული საკითხი არ განიხილება მხოლოდ სისხლის მართლმსაჯულებისა და კრიმინალის ნაწილად და ყურადღება ექცევა პრობლემის სოციალურ და სამედიცინო ასპექტებს. **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“**

საარჩევნო პროგრამაში ნარკოპოლიტიკაზე საუბარია სისხლის სამართლის პოლიტიკის ნაწილში, რაც გულისხმობს პრობლემის არასრულყოფილ რაკურსში დანახვას და მნიშვნელოვანი ასპექტების უგულებელყოფას. **„საქართველოს რესპუბლიკური პარტიის"** საარჩევნო პროგრამაში კი ნარკოპოლიტიკა ცალკე საკითხად არ არის გამოყოფილი და განხილულია შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმის ფარგლებში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ნარკოპოლიტიკა აღიქმევა მხოლოდ კრიმინალის ნაწილად და არაა დანახული პრობლემის სოციალური, ეკონომიკური და ჯანდაცვის ასპექტები.

"ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" საარჩევნო პროგრამაში კი, ნარკოპოლიტიკა განხილულია სოციალური განვითარების თავში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ „ქართული ოცნება" პრობლემას სოციალურ ჭრილში განიხილავს. თუმცა, პროგრამაში აღნიშნულია, რომ რეპრესიული ნარკოპოლიტიკა უკვე ჩაანაცვლა დაბალანსებულმა მიდგომებმა და ამის საილუსტრაციოდ მოყვანილია ბოლო წლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები (ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობის ზრდა, ზედოზირების შემთხვევების ახლებური რეგულირება). მიუხედავად გატარებული ცვლილებებისა, წარმოდგენილ დოკუმენტში იდენტიფიცირებული პრობლემური საკითხების უმრავლესობა დღესაც აქტუალურია და მათი მოგვარება სისტემურ საკანონმდებლო რეფორმებს მოითხოვს.

1. დეკრიმინალიზაცია

„**ირაკლი ალასანია-თავისუფალი დემოკრატების**" საარჩევნო პროგრამაში ყველა სახის ნარკოტიკული საშუალების მოხმარების დეკრიმინალიზება არის დაანონსებული, ხოლო **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის**" პროგრამაში მხოლოდ მსუბუქი ნარკოტიკის მოხმარების დეკრიმინალიზაციაზეა საუბარი. ბუნდოვანია რა მოიაზრება მსუბუქ ნარკოტიკში, ან რა უდევს საფუძვლად ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებლის ამგვარ დიფერენციაციას. „**საქართველოს რესპუბლიკური პარტიის**" საარჩევნო პროგრამაში საუბარია თავისუფლების აღკვეთის

ნაცვლად ნებაყოფლობითი მკურნალობის შეთავაზებაზე, თუმცა ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს დეკრიმინალიზაციას. ამავდროულად, ბუნდოვანია პარტიის ხედვა ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელს ჯანმრთელობის პრობლემა არ აქვს და არ არსებობს მისთვის სამკურნალო პროგრამის შეთავაზების აუცილებლობა.

„**ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს**“ საარჩევნო პროგრამაში საუბარია მსუბუქი ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებისთვის სასჯელების ლიბერალიზაციაზე. როგორც უკვე აღინიშნა, ბუნდოვანია რას ნიშნავს მსუბუქი ნარკოტიკი და ამავდროულად, რა იგულისხმება სასჯელის ლიბერალიზაციაში. მაგალითად, რამდენად წარმოადგენს ერთჯერადი მოხმარებისთვის პირისთვის 500 ლარიანი ჯარიმა ლიბერალურ სასჯელს.

2.ნარკოტიკული საშუალებების ოდენობები

„**ირაკლი ალასანია-თავისუფალი დემოკრატების**“ საარჩევნო პროგრამაში საუბარია ერთჯერადი მოხმარებისთვის მინიმალური ადეკვატური დოზების განსაზღვრის აუცილებლობაზე, რაც დადებით ნაბიჯად უნდა შეფასდეს. თუმცა, რა პრინციპით უნდა განისაზღვროს აღნიშნული დოზები, ან როგორ უნდა მოწესრიგდეს საკითხი იმ ნივთიერებებზე, რომელთა დოზირების განსაზღვრაც შეუძლებელია, ამაზე პროგრამაში არაფერია ნათქვამი.

„**ერთიანი ნაციონალური მოძრაობის**“, „**საქართველოს რესპუბლიკური პარტიისა**“ და „**ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს**” საარჩევნო პროგრამებში კი აღნიშნულ საკითხზე ყურადღება არაა გამახვილებული. დღევანდელი რეპრესიული ნარკოპოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი წყაროს სწორედ პირადი მოხმარებისთვის სამართლიანი ოდენობების განუსაზღვრელობაა. ამგვარი სამართლებრივი რეგულირება გამორიცხავს რიგი ნარკოტიკული საშუალებების მცირე ოდენობით შენახვისთვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესაძლებლობას და ქმედება პირდაპირ გადაჰყავს სისხლის სამართლის სფეროში, რა დროსაც გამოიყენება

არაპროპორციული და უსამართლოდ მკაცრი სანქციები.

3.იძულებითი ნარკოლოგიური შემოწმება

ამ საკითხზე არც ერთი პოლიტიკური სუბიექტის წინასაარჩევნო პროგრამაში ყურადღება არაა გამახვილებული, რაც ცალსახად მიუთითებს, რომ ოთხივე პოლიტიკური ძალა პრობლემას არ აღიარებს. რეალურად, იძულებითი ნარკოლოგიური შემოწმება ხშირ შემთხვევაში გზას უხსნის სამართალდამცავებს, მოახდინონ მოქალაქეებზე სხვადასხვა ტიპის ზეწოლა და თვითნებურად შეზღუდონ მათი უფლებები.

4.სამედიცინო, სოციალური და ზიანის შემცირების პროგრამები

ამ საკითხზე „**ირაკლი ალასანია - თავისუფალი დემოკრატების**“ პროგრამაში ყურადღება გამახვილებულია სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებაზე, გეოგრაფიულად და ეკონომიურად უფრო ხელმისაწვდომი გახადოს ქვეყანაში არსებული პროგრამები, აგრეთვე წარმართოს საინფორმაციო კამპანიები. „**ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს**” პროგრამაში ასევე საუბარია ჯანდაცვის სერვისების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაზრდაზე, აგრეთვე პრევენციულ პროგრამებზე, რომლის მიზანიც იქნება ნარკოტიკული საშუალებების უკანონო მოხმარებაში ადამიანების, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების ჩართვის თავიდან არიდება.

შრომის უფლების დაცვისა და დასაქმების პოლიტიკის მიმოხილვა პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამებში

დასაქმებულთა ღირსეულ და უსაფრთხო შრომის პირობებზე ორიენტირებული შრომითი პოლიტიკის შემუშავება, მნიშვნელოვან აუცილებლობას წარმოადგენს, რაც მუდმივად დასტურდება დასაქმებულთა შრომითი უფლებების დარღვევის სიმძიმით და მათი ექსპლუატაციის პრაქტიკით. შრომითი უფლებების დარღვევის სისტემური ხასიათი ასევე ვლინდება დასაქმებულთა მასშტაბურ გაფიცვებში, პროტესტებსა და სამუშაო ადგილებზე დასაქმებული ადამიანების ჯანმრთელობის დაზიანებისა და გარდაცვალების საგანგაშო სტატისტიკურ მაჩვენებელში.

შრომის პოლიტიკის, მათ შორის, ეფექტური შრომის ინსპექციისა და შრომის ადმინისტრირების სისტემის ფორმირება წარმოადგენს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგის ნაწილს, თუმცა, სახელმწიფომ, გარკვეული პოზიტიური ნაბიჯების გადადგმის მიუხედავად, ამ დრომდე ვერ შეძლო ქმედითი და დასაქმებულის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული პოლიტიკის წარმოება.

შრომის უფლების დაცვისა და დასაქმების პოლიტიკის მიმოხილვის მიზნით შევისწავლეთ ექვსი პოლიტიკური პარტიის: *„ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს,“ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, „ირაკლი ალასანია - თავისუფალი დემოკრატების“, „საქართველოს რესპუბლიკური პარტიის“, „ეროვნული ფორუმისა“ და „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“* წინასაარჩევნო პროგრამა.

„საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ წინასაარჩევნო პროგრამაში კი საერთოდ არ არის საუბარი შრომის უფლებისა და დასაქმების საკითხებზე.

შრომის პირობების ინსპექტირების მექანიზმის შექმნა და უფლების დაცვის სხვა მექანიზმები

ქმედითი შრომის ინსპექციის შექმნა და შრომის ადმინისტრირების ეფექტური სისტემის ამუშავება უკანასკნელი წლებია შრომის უფლების საკითხზე მომუშავე ორგანიზაციების მთავარ მოთხოვნას წამოადგენს, რამდენადაც აღსრულებითი მექანიზმების არარსებობა ხელს უშლის დასაქმებულთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას სამუშაო ადგილებზე. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტრუქტურაში შექმნილი შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტს კი მისი შეზღუდული მანდატის და სუსტი ბერკეტების გათვალისწინებით არ შეუძლია ამგვარი გარდაქმნის მოხდენა.

მიუხედავად იმისა, რომ სწორედ შრომის ინპსექტირების მექანიზმის მანდატის გაზრდა მიიჩნევა შრომის პოლიტიკის გარდაქმნისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობად, ამგვარ დაპირებას ვერ ვხვდებით ვერცერთი პოლიტიკური პარტიის წინასაარჩევნო პროგრამაში.

შრომის პოლიტიკის ადმინისტრირების სხვა მექანიზმების ეფექტურობის გაზრდის საკითხზე ამახვილებს ყურადღებას *„საქართველოს რესპუბლიკური პარტიის“* წინასაარჩევნო პროგრამა, რომელიც შრომითი დავების მოგვარების მექანიზმების და სოციალური დიალოგისა და სოციალური პარტნიორობის ეფექტიანი სისტემის შექმნას მოიცავს, თუმცა, არ წარმოადგენს კონკრეტულ ხედვას ამ მიმართულებით. ამასთან, პროგრამა ითვალისწინებს პროფესიული კავშირის როლის გააქტიურებას შრომის პირობებისა და შრომის უფლებების დაცვის საკითხებში, პროფორიენტაციის კომპონენტის გაძლიერებასა და ამ კუთხით სისტემური მიდგომების გამოყენებას, თუმცა, არც ამ შემთხვევაში ვხვდებით ამგვარი რეფორმების კონკრეტულ ხედვებს.

დასაქმებულთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება საკანონმდებლო დონეზე

დღემდე გამოწვევად რჩება შრომითი კანონმდებლობის საერთაშორისოსტანდართებთანჰარმონიზაციადადასაქმებულთა შრომითი უფლების საკანონმდებლო მოწესრიგება, მათ შორის, ზეგანაკვეთური სამუშაოს ზედა ზღვარის დადგენის, დღიური საათობრივი სამუშაო დროის განსაზღვრისა და სხვა მნიშვნელოვანი რეგულაციების შემოტანის საკითხი.

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს წინასაარჩევნო პროგრამა საუბრობს ამ კუთხით უკვე გაწეული სამუშაოს შესახებ და მიუთითებს, რომ „შეიქმნა კანონმდებლობა, რომლის მიზანია თითოეული დასაქმებულისათვის შრომის ღირსეული პირობების უზრუნველყოფა“. თუმცა, ამ მიმართულებით არ ხედავს დამატებითი ცვლილებების განხორციელების საჭიროებას.

პარტია *„ირაკლი ალასანია - თავისუფალი დემოკრატების“* ხედვა მინიმალური ხელფასის დადგენის საჭიროებაზე საუბრობს და მიუთითებს რომ ასეთი ზღვარი 500 ლარით, ხოლო საათში - სამი ლარით განისაზღვრება. _

„ეროვნული ფორუმი“ გეგმავს სახელმწიფო შესყიდვების განხორცილებისას, განსაკუთრებით საერთაშორისო ტენდერების შემთხვევაში, კანონმდებლობით იქნას განსაზღვრული ვალდებულება, რომ სამუშაოს პროცესის ორგანიზების თითოეულ საფეხურზე, სამუშაოს წარმოებაში ჩართული პერსონალის არანაკლებ 90% იყოს საქართველოს მოქალაქე.

დასაქმებულთა სოციალური დაცვის გარანტიები

დასაქმებულთა დამატებითი სოციალური დაცვის გარანტიების შექმნა ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, რაც განსაკუთრებულად მწვავედ მიემართება მძიმე, მავნე და საშიშ პიროებებში დასაქმებულ ადამიანებს.

„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის“ საარჩევნო პროგრამით ითვალისწინებს საპენსიო სისტემის

ახალი მოდელის შექმნას, რომელიც გახდება საპენსიო ასაკში ღირსეული არსებობის გარანტი. დაგროვებითი პენსია გულისხმობს თანადაფინანსების მოდელს დასაქმებულის, დამსაქმებლისა და სახელმწიფო ბიუჯეტის მხრიდან.

პარტია სკოლამდელ განათლებაში დასაქმებულთა მოტივაციის გაზრდისათვის სოციალური დაცვის გარანტიების გაუმჯობესებას გეგმავს, თუმცა პროგრამაში არ არის მითითებული კონკრეტულად რაში გამოიხატება პარტიის ხედვა. ასევე იგეგმება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმებაზე ორიენტირებული პროექტების ზრდა. *„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის“* გეგმავს შეიმუშავოს სოციალური დაცვის დამატებითი გარანტიები კულტურის მოღვაწეთა და პედაგოგთა მიმართ.

დასაქმებულთა სოციალური დაცვის გარანტიების საკითხს შეეხება *„საქართველოს რესპუბლიკური პარტია“.* მათ წინასაარჩევნო პროგრამაში ვკითხულობთ: „2017 წლის 1 იანვრიდან ხდება რეინვესტირებული მოგების გათავისუფლება მოგების გადასახადისგან, ჩვენ მიერ ინიცირებული იქნება ცვლილება, რომლის შესაბამისადაც საწარმოს დაქირავებულებისათვის დამქირავებლების მხრიდან სავალდებულო სამედიცინო და საპენსიო დაზღვევის შენატანების თანადაფინანსება, აგრეთვე, დაქირავებულთა განათლებაზე გაწეული ხარჯები გამოირიცხება მოგების გადასახადის დაბეგვრის ბაზიდან“.

„ეროვნული ფორუმი“ ითვალისწინებს „პირველადი და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში დასაქმებული პირების უზრუნველყოფას უწყვეტი სამედიცინო განათლების, პროფესიული განვითარებისა და ატესტაციის თანამედროვე ეფექტური საშუალებებით“.

დასაქმების პოლიტიკა

დასაქმების პოლიტიკის განვითარების მიმართულებით პოლიტიკური პარტიების ნაწილი გარკვეულ ხედვებს წარმოადგენს.

პოლიტიკური პარტია *„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის“* 200 000 ახალი სამუშაო ადგილის შექმნას ჰპირდება ამომრჩეველს, ხოლო ტურიზმთან ასოცირებულ ინდუსტრიებში სამუშაო ადგილების საშუალო წლიური რაოდენობის ზრდას არანაკლებ 80 000-ით. პროგრამის მიხედვით, დასაქმების მიმართულებით ასევე შეიქმნება მსჯავრდებულთათვის ახალი დასაქმების ადგილები.

პარტია გეგმავს შრომის ბაზრის პერიოდულ კვლევას და შედეგებზე დაყრდნობით პროფესიული პროგრამების დანერგვას და უმაღლესი განათლების პრიორიტეტების განსაზღვრას. შრომის ბაზარზე არსებული დისბალანსის აღმოსაფხვრელად პარტია აპირებს დამსაქმებელთა ჩართვას საგანმანათლებლო პროცესში, ასევე მოთხოვნადი პროფესიების გამოვლენას, რათა მომავალი დასაქმებულების კომპეტენციები შეესაბამებოდეს შრომის ბაზრარზე მოთხოვნად ხარისხს. ეკონომიკური ზრდისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით პარტია *„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის“* გეგმავს შემდეგ ნაბიჯებს: ინდუსტრიული განვითარების დოკუმენტის შექმნა, სხვადასხვა საგადასახადო რეფორმა, ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამების შემუშავება, არქიტექტურული და სხვა პროექტები.

ქმედითი დასაქმების პოლიტიკის განხორციელების მიზნით, პარტია გეგმავს საკოორდინაციო მექანიზმის გაძლიერებას სამუშაოს მაძიებელთა და დამსაქმებელებს შორის. საჯარო სამსახურში დასაქმებული ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისათვის კი უზრუნვლეყოფილი იქნება ქართული ენის მიზნობრივი სწავლება.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პროგრამა 2017 წელს 45 000 ახალი სამუშაო ადგილის შექმნას ითვალისწინებს, ხოლო მომდევნო წლების მანძილზე ყოველწლიურად 30 000 დამატებითი სამუშაო ადგილის შექმნას. *„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“* წინასაარჩევნო პროგრამა ასევე ითვალისწინებს ღირსეულ ანაზღაურებას სახელმწიფო სამსახურში დასაქმებულებისათვის, სხვადასხვა ბიუროკრატიულ ფუფუნების გაუქმების ხარჯზე.

„საქართველოს რესპუბლიკური პარტიის“ წინასაარჩევნო პროგრამა ახალგაზრდებისათვის ხარისხიანი სამუშაო ადგილების შექმნის დაპირებას ითვალისწინებს. *„საქართველოს რესპუბლიკური პარტია“* დასაქმების სტრატეგიად განიხილავს უმუშევართა აღრიცხვის ბანკის შექმნას, რომელიც შესაძლებელს გახდის მათთვის ადეკვატური სამუშაოს შეთავაზებას. პარტიის ხედვით, ფოკუსირება უნდა მოხდეს უმუშევრის მიერ ახალი სამუშაო ადგილის ძიების პერიოდის შემცირებაზე და იმ უმუშევრების ხელშეწყობაზე, რომელსაც აქვთ დასაქმების უმცირესი შანსი და შესაძლებლობა.

„ირაკლი ალასანია - თავისუფალი დემოკრატების“ წინასაარჩევნო პროგრამაში დასაქმების ხელშეწყობის საკითხები მხოლოდ დევნილებთან მიმართებით განიხილება. წინასაარჩევნო პროგრამაში ვკითხულობთ: „დასაქმების პრობლემა ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხს წარმოადგენს არა მხოლოდ დევნილებში, არამედ მთლიანად ქვეყნის მასშტაბით. მიუხედავად ამისა, შედეგის თვალსაზრისით, ეფექტური იქნება, თუ მოვახდენთ მათ დიფერენციაციას და დევნილ მოსახლეობას შევთავაზებთ დასაქმების უშუალოდ მასზე ორიენტირებულ მექანიზმებს, კერძოდ: 1. დაწესდება საგადასახადო შეღავათები ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული იმ პირებისათვის, რომლებიც საკუთარი ბიზნესის ფარგლებში დაასაქმებენ 10 და მეტ დევნილს; 2. გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამის ფარგლებში, დევნილებს მიეცემათ პროფესიული განათლების დაუფლების საშუალება; 3. დევნილთათვის საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, დასაქმდებიან უშუალოდ დევნილები“.

სათანადო საცხოვრისის უფლება პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამებში

სათანადო საცხოვრისის უფლების რეალიზების პროცესში სახელმწიფო მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას. უსახლკარობის მასშტაბის და უსახლკაროთა უფლებების დარღვევის სიმძიმის მიუხედავად, სახელმწიფო დღემდე არ აღიარებს საცხოვრისის უფლებრივ განზომილებას და არ აქვს არსებულ გამოწვევებზე საპასუხო ადეკვატური კანონმდებლობა თუ სისტემურ ხედვაზე დაფუძნებული სახელმწიფო პოლიტიკა.

უსახლკაროთა რიცხოვნობის მიუხედავად, ქვეყანაში არ წარმოებს უსახლკაროთა რაოდენობის, ინდივიდუალური საჭიროებებისა და უსახლკარობის მიზეზების კვლევა, რაც გამორიცხავს ადეკვატური პოლიტიკის შემუშავებას. სახელმწიფო არ იყენებს უსახლკარობის დაზღვევის პრევენციულ პოლიტიკას და მისი მიდგომები მხოლოდ რეაქციულად, მყისიერი საჭიროებების საპასუხოდ მიემართება უსახლკაროთა ცალკეულ ჯგუფებს, რაც უსახლკარობის მდგომარეობის გარდაქმნას შეუძლებელს ხდის და არ ამცირებს პრობლემის მასშტაბს.

უსახლკაროთა მიმართ სახელმწიფოს მიდგომების შეცვლის საჭიროებისა და სისტემური პოლიტიკის შემუშავების მოლოდინის მიუხედავად, არცერთი პოლიტიკური პარტიის წინასაარჩევნო პროგრამა სათანადოდ არ ხედავს პრობლემის სირთულეს და არ აჩვენებს კვლევაზე, პრევენციასა და სისტემურ მიდგომებზე დაფუძნებული პოლიტიკის შექმნის ხედვას.

„ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს," „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის", „ირაკლი ალასანია - თავისუფალი დემოკრატების", „საქართველოს რესპუბლიკური პარტიის", „ეროვნული ფორუმისა" და „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის" წინასაარჩევნო პროგრამების შესწავლის შედეგად ნათელია, რომ პოლიტიკური პარტიები საცხოვრისის უფლების რეალიზების აუცილებლობას უმეტესად დევნილთა და ეკომიგრანტებთან მიმართებით ხედავენ და სხვა ნიშნით

უსახლკარო პირთა საჭიროებებს ნაკლებად აღიარებენ. ხოლო იმ შემთხვევებში სადაც პოლიტიკური პარტიები საუბრობენ საცხოვრისის უფლების რეალიზებაზე მათი ხედვა მხოლოდ რეაქციული პოლიტიკით, ფართების საკუთრებაში გადაცემით ან სერვისების მიწოდების საჭიროებით შემოიფარგლება და როგორც წესი მოიაზრებს სპეციალიზირებულ სერვისებს კონკრეტული ჯგუფებისათვის.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო პროგრამა საერთოდ არ შეეხება საცხოვრისის უფლების რეალიზების საკითხს და შესაბამისად არ წარმოადგენს რაიმე ტიპის ხედვას ამ კუთხით.

პოლიტიკური პარტია *„ეროვნული ფორუმი“* გეგმავს, შეიმუშავოს სპეციალური მიზნობრივი (სოციალური დაცვის) პროგრამები უსახლკარო პირთა გამოვლენისა და მათი მიზნობრივი დახმარებისათვის. პროგრამა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს დევნილებისა და ეკომიგრანტების საჭიროებებზე: „მომზადდება და დაინერგება მრავალწლიანი „ეკოლოგიურ მიგრანტთა სახელმწიფო პროგრამა“, რომლის მთავარი მიმართულების განვითარებაში რამდენიმე მიდგომა არის დაგეგმილი:

- საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, მ.შ. საზღვრისპირა რაიონებში;
- სახელმწიფო ბალანსზე არსებული კორპუსების რეაბილიტაცია;
- შეღავათიანი საბანკო სესხების გაცემა;
- ოჯახებისათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების გადაცემა.

პროგრამის თანახმად, ასევე დაგეგმილია დევნილი ოჯახებისათვის სამართლიანი და დროული განსახლება.

პოლიტიკური პარტიის *„ირაკლი ალასანია - თავისუფალი დემოკრატები“ საარჩევნო პროგრამა* მოიცავს სოციალური საცხოვრებლის პროგრამის განხორციელების დაპირებას, რაც მიზნად ისახავს უსახლკაროთა და დევნილთა ბინადრობის პრობელემების თანმიმდევრულ აღმოფხვრას. ამასთან, პარტია დევნილთა სათანადო საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ერთადერთ გამოსავლად დევნილებისათვის საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობის სახელმწიფო პროგრამის განხორციელებას ხედავს. „ირაკლი ალასანია - თავისუფალი დემოკრატები“-ს წინასაარჩევნო პროგრამაში ასევე ვკითხულობთ: „სოციალური მომსახურების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი იქნება სპეციალიზებული დაწესებულებები, მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა, მოხუცებულთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სახლები და დღის სტაციონარები, აგრეთვე სხვა სპეციალიზებული დაწესებულებები“. ამასთან, პარტია დევნილთათვის საცხოვრისის პრობლემების გადაჭრის მიზნით, მათ მიერ დაკავებული, სახელმწიფოს ბალანსზე არსებული შენობებისა და დამხმარე ნაგებობების დაკანონებას გეგმავს.

„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ უსახლკარობის პრობლემის მოგვარებას, უსახლკაროებისათვის სახლების აშენებისა და საკუთრებაში გადაცემის პოლიტიკაში ხედავს: „ყოველწლიურად ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტიდან 2 პროცენტი უნდა გამოვყოთ და ამ ფულით ავუშენოთ და ვაჩუქოთ ბინები დაახლოებით 4000 ოჯახს, რომელიც სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობენ“.

„საქართველოს რესპუბლიკური პარტია“ სათანადო საცხოვრისის უფლების რეალიზების კუთხით ძირითადად უსახლკარო ბავშვთა საკითხებს მიემართება და გეგმავს შექმნას რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მექანიზმები ქუჩაში მცხოვრები ბავშვებისათვის. პარტია ამ პროცესში განსაკუთრებული აქცენტს ბავშვთა მიტოვების პრევენციული პროგრამების შემუშავებაზე აკეთებს. პარტიის წინასაარჩევნო პროგრამა ასევე ითვალისწინებს ხანდაზმულთათვის სათემო სახლების შექმნას.

პოლიტიკური პარტია *„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსათვის“* სათანადო საცხოვრისის უფლების საკითხებს დევნილთა საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფას უკავშირებს, რაც საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში დევნილებისათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის პროგრამების დანერგვით განხორციელდება. ამასთან, პროგრამაში ვკითხულობთ: „დევნილ ოჯახებს, რომელთაც საკუთრებაში აქვთ გადაცემული საცხოვრებელი ფართი, აგრეთვე, მათ მიერ შექმნილ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებს საკუთრებაში გადაეცემათ საერთო სარგებლობის ფართებიც (სხვენები, სარდაფები და სხვ.). გაგრძელდება კერძო მესაკუთრეებისგან იმ საცხოვრებელი ფართების გამოსყიდვა, რომლებიც დევნილებს აქვთ დაკავებული. ამ პროექტის ფარგლებში, სულ მცირე 1500 დევნილი ოჯახი ბინით დაკმაყოფილდება. პარალელურად, მიმდინარეობს მუშაობა, ერთი მხრივ, დონორებთან, ხოლო, მეორე მხრივ, ინვესტორებთან, რათა კერძო და საჯარო პარტნიორობის ფარგლებში აშენდეს ახალი საცხოვრებლები დევნილებისთვის როგორც ქალაქებში, ისე სოფლად. მნიშვნელოვნად გაძლიერდება მცირე სამეწარმეო საქმიანობისა და დევნილთა კოოპერაციის ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან“. პროგრამა ასევე ითვალისწინებს ეკომიგრანტი ოჯახებისათვის საცხოვრებელი სახლებისა და მიწის დაკანონების პროგრამებს. პარტია ასევე გეგმავს ქვეყნის მასშტაბით 1000-მდე ეკომიგრანტი ოჯახისათვის სახლების შეძენას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების რეალიზების ხედვა პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამებში

საქართველომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების კონვენციის (CRPD) რატიფიცირება 2014 წლის დეკემბერში მოახდინა. მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის იმპლემენტაციის პროცესი თითქმის ორი წელია მიმდინარეობს, დღემდე მნიშვნელოვანი პრობლემებია როგორც ეროვნული კანონდებლობის კონვენციასთან ჰარმონიზაციის, ისე მისი დანერგვისა და აღსრულების კუთხით. სახელმწიფო ვერ პასუხობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ჯანმრთელობის უფლების, დამოუკიდებელი ცხოვრების, გარემოს მისაწვდომობისა და სხვა უფლებების რეალიზების პროცესში არსებულ გამოწვევებს. დღემდე, მნიშვნელოვანი დაბრკოლებები არსებობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში სრულფასოვანი ინტეგრაციის კუთხით.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების რეალიზება, არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, კომპლექსური და სისტემური ხასიათის ცვლილებებს მოითხოვს. კონვენციის სათანადო იმპლემენტაციისათვის აუცილებელია კანონმდებლობისა და ინსტიტუციური მექანიზმების ფუნდამენტური რეფორმირება, რაც უპირველესად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შეფასების სოციალური მოდელის დანერგვას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რაოდენობისა და ინდივიდუალური საჭიროებების შესახებ ინფორმაციის დამუშავებას, კვლევაზე დაფუძნებული პროგრამების შექმნას, თემზე დაფუძნებული სერვისების განვითარებასა და სხვა სისტემურ რეფორმებს მოითხოვს.

ამდენად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მნიშვნელობა და ამ საკითხების ინტეგრირება პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულებებში, სპეციალური ხედვისა და მიდგომების შემუშავების საჭიროებას წარმოშობს, რაც მნიშვნელოვანია შესაბამისი ხედვებისა და გეგმების სახით

ასახული იყოს პოლიტიკური პარტიების პროგრამულ დღის წესრიგებში.

ამ მიზნით მიმოვიხილავთ ექვსი პოლიტიკური პარტიის: *„ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს,“ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, „ირაკლი ალასანია - თავისუფალი დემოკრატების“, „საქართველოს რესპუბლიკური პარტიის“, „ეროვნული ფორუმისა“ და „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“* წინასაარჩევნო პროგრამას.

დასახელებული პარტიების წინასაარჩევნო პროგრამები გარკვეულწილად მიემართება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის საკითხს, რაც დეტალურად ქვემოთ იქნება წარმოდგენილი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამგვარ ხედვას საერთოდ არ მოიცავს პარტია *„საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“* წინასაარჩევნო პროგრამა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების შეფასების სოციალური მოდელის შექმნის აუცილებლობა

სოციალური მოდელის დანერგვა გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის უპირველესი მიზანი და ფუნდამენტური პრინციპია. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში სოციალური მოდელის შექმნა ამ დრომდე არ მომხდარა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შეფასება კვლავ სამედიცინო მოდელს ეყრდნობა, რაც აბსოლუტურ წინააღმდეგობაში მოდის კონვენციის სულისკვეთებასთან.

მიუხედავად არსებული საკითხის მნიშვნელობისა, არცერთი პოლიტიკური პარტიის საარჩევნო პროგრამა, გარდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“, არ შეეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების შეფასებისათვის სამედიცინო მოდელის გაუქმებისა და სოციალური მიდგომების დამკვიდრების აუცილებლობის საკითხს. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პროგრამაც მხოლოდ მოიხსენიებს ამ საკითხს, ყოველგვარი კონკრეტული გეგმის მითითების გარეშე.

სოციალური მოდელის დანერგვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინდივიდუალური საჭიროებების კვლევას და ბენეფიციარისთვის შესაბამისი სოციალური დაცვის პაკეტის შეთავაზებას მოიაზრებს. პოლიტიკური პარტიების ხედვა, ნაცვლად არსებული სისტემის სრულფასოვანი გადასინჯვისა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური პაკეტის (ე.წ. პენსია) ბლანკეტური ნიშნულის გაზრდაზე ან/და მის გაანგარიშების წესის ცვლილებაზე გადის.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო პროგრამა 2016 წლიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ფულადი გასაცემელის ზრდას ითვალისწინებს, რაც მხოლოდ მკვეთრად და ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების სოციალურ პაკეტს შეეხება. ხანდაზმულებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ერთიანი სოციალური პაკეტის შექმნის დაპირებას ითავლისწინებს *„ეროვნული ფორუმის“* წინასაარჩევნო პროგრამა.

გარემოს ადაპტირება

კონვენციის რატიფიცირებისა და სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების მიუხედავად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის გარემო უმეტეს შემთხვევაში კვლავ მიუწვდომელი რჩება. შენობები, ქუჩები, ტრანსპორტი და ინფრასტრუქტურა ვერ პასუხობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებებს. შენობა-ნაგებობები არათუ ვერ აკმაყოფილებს უნივერსალური დიზაინის სტანდარტს, ხშირ შემთხვევაში შეღწევადიც კი არ არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის. ფიზიკური გარემოს ადაპტირების პრობლემა განსაკუთრებით მასშტაბურია რეგიონებში, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საზოგადოებაში ინტეგრაცია გაცილებით რთულია სწორედ ფიზიკურ და სოციალურ გარემოში არსებული ბარიერების გამო.

გარემოს ადაპტირების ვალდებულებას ითვალისწინებს პოლიტიკური პარტია *„ქართული ოცნება- დემოკრატიული*

საქართველოს“ წინასაარჩევნო პროგრამა, თუმცა პროგრამა მხოლოდ ადმინისტრაციული შენობების ადაპტირებას და საზოგადოებრივი სატრანსპორტო საშუალებების ადაპტირებისათვის შესაბამისი რეგულაციების შემუშავებას მოიცავს. ფიზიკური ხელიმისაწვდომობის სტანდარტების დანერგვის ვალდებულებას ასევე ვხვდებით *„საქართველოს რესპუბლიკური პარტიის“* წინასაარჩევნო პროგრამაში.

განათლება და დასაქმება

ქვეყანაში კვლავ მთავარ გამოწვევად რჩება ხარისხიანი ინკლუზიური განათლებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების პრობლემა. ოფიციალური მონაცემით საჯარო სექტორში დასაქმებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების რაოდენობა დასაქმებულთა 1%-საც ვერ აღწევს.[1]

ცალკეული პოლიტიკური პარტიების პროგრამები გარკვეულწილად შეეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების საკითხებს თუმცა, ეს დოკუმენტები არ შეიცავს ამ კუთხით მათი ხედვების რეალიზების კონკრეტულ მიმართულებებს.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო პროგრამა ითვალისწინებს დაპირებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლების მიღებისა და დასაქმების თანაბარ შესაძლებლობას ყველა მოქალაქისათვის, მათი საჭიროებებისა და განსხვავებულობის მიუხედავად. პროგრამა ასევე ითვალისწინებს საჯარო სექტორში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმების მაჩვენებლის გაზრდას.

პარტია *„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“* წინასაარჩევნო პროგრამა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სრულყოფილი მონაწილეობისათვის აუცილებლად მიიჩნევს მათ დასაქმებას.

„ირაკლი ალასანია - თავისუფალი დემოკრატების“ წინასაარჩევნო პროგრამა შეეხება განათლების საკითხებს და აქცენტს სვამს სკოლების დამხმარე საშუალებებით აღჭურვაზე, რაც გაამარტივებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სწავლის პროცესში სრულფასოვან ჩართვას, მათ შორის ადაპტირებული ტრანსპორტის მომსახურებითა და მასწავლებლის ასისტენტის სერვისების დახმარებით. პარტია პროფესიული განათლების გაძლიერებისათვის ითვალისწინებს ოკუპაციური თერაპიის, მეტყველების თერაპიის, სპეციალური პედაგოგიკის, მასწავლებლის ასისტენტის მომზადებისა და სხვა მექანიზმების დანერგვასა და გაძლიერებას, რათა ხელი შეეწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩართულობას პროფესიული განათლების მიღების პროცესში.

სპორტის, განათლებისა და კულტურის სფეროში სპეციალური ინდივიდუალური სასწავლო და შეფასების პროგრამების შექმნას ითვალისწინებს *„საქართველოს რესპუბლიკური პარტიის“* წინასაარჩევნო პროგრამა.

ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა

პარტიათა უმრავლესობისათვის ყურადღების მიღმა დარჩა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობისათვის თემზე დაფუძნებული სერვისების შექმნისა და განვითარების საკითხები. ამასთან, დიდი ზომის ინსტიტუციების დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის წარმართვა და მათ ნაცვლად ბენეფიციარებისათვის სათემო სერვისების შეთავაზება. საკითხი განსაკუთრებულად მწვავედ მიემართება ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირების საჭიროებებს, რომლებიც დღემდე წარმოადგენენ ამგვარი ინსტიტუციების ბენეფიციარებს, რასაც მათი უფლებების სისტემური შელახვის პრაქტიკა ახლავს თან. დარღვევათა სისტემურობაზე, მათ შორის არაადამიანური მოპყრობის შემთხვევებზე არაერთ ანგარიშში საუბრობს

საქართველოს სახალხო დამცველი.

აღნიშნული საკითხები, მისი მნიშვნელობის მიუხედავად, არ არის წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიების პროგრამებში. მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტაციონარულ და ამბულატორიულ დონეზე ფსიქიატრიული ჯანმრთელობის პროგრამის მოცულობისა და ხარისხის გაუმჯობესებას, თემზე დაფუძნებული სერვისებისა და შინ მოვლის პროგრამის გაძლიერებას ითვალისწინებს *„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“* წინასაარჩევნო პროგრამა.

ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯოებესებისა და მხარდაჭერის სისტემის რეფორმის დანერგვის საკითხს მხოლოდ *„საქართველოს რესპუბლიკური პარტიის“* წინასაარჩევნო პროგრამა ეხმიანება. პარტიის პროგრამა ითვალისწინებს ქმედუნარიანობის რეფორმის გაგრძელების მიზნით, დამატებითი საკანონმდებლო და ინსტიტუციური მექანიზმების შექმნასა და მხარდაჭერის სამსახურის ჩამოყალიბებას.

საკანონმდებლო და ინსტიტუციური რეფორმა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენცია ითვალისწინებს სახელმწიფოების ვალდებულებას ეროვნულ დონეზე თავად შექმნან ან განსაზღვრონ კონვენციის იმპლემენტაციისა და კოორდიანციის ორგანოები, რომელთა სათანადო რეფორმირებისა და ამოქმედების საკითხი მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

ამის მიუხედავად, წინასაარჩევნო პროგრამებში არ არის გათვალისწინებული ინსტიტუციური რეფორმების მიმართულებები ამ სფეროში. მხოლოდ, *საქართველოს რესპუბლიკური პარტიის* წინასაარჩევნო პროგრამაშია საუბარი ანტიდისკრიმინაციული მექანიზმის გაძლიერებაზე. კერძოდ, რეფორმის შინაარსი გულისხმობს კანონმდებლობაში სათანადო სანქციებისა და მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულების გათვალიწინებასა და დისკრიმინაციის ფაქტების

გამოსავლენად სახალხო დამცველისათვის მინიჭებული უფლებამოსილებების გაფართოებას. ინსტიტუციური რეფორმის სხვა მიმართულებები არც საქართველო რესპუბლიკური პარტიის პროგრამაშია ხაზგასმული.

---

[1] ოფიციალური მონაცემებით საჯარო სექტორში დასაქმებული 53 109 ადამიანიდან, მხოლოდ 112 არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი.

სეკულარიზმი და თანასწორობის საკითხები პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამებში

EMC აგრძელებს პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამების შეფასებას ადამიანის უფლებების პერსპექტივიდან. მოცემული ტექსტი წარმოადგენს შვიდი (ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, რესპუბლიკური პარტია, ირაკლი ალასანია - თავისუფალი დემოკრატები, ახალი პოლიტიკური ცენტრი გირჩი, პატრიოტთა ალიანსი, ეროვნული ფორუმი)[1] პოლიტიკური პარტიის საჯაროდ ხელმისაწვდომ წინასაარჩევნო პროგრამებში გათვალისწინებული ხედვების კომპილაციას სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის, არადომინანტი ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების, ასევე ლგბტ პირთა უფლებრივ მდგომარეობასა და ანტიდისკრიმინაციულ პოლიტიკასთან დაკავშირებით.

პარტიათა წინასაარჩევნო პროგრამების შეფასება აჩვენებს, რომ პარტიათა უმრავლესობას არ აქვს ჩამოყალიბებული მკაფიო ხედვა თანასწორობის საკითხებთან მიმართებით და მათი წინასაარჩევნო პროგრამები მხოლოდ ზედაპირულ შეფასებებს შეიცავს ან საერთოდ არ ფარავს ამ კუთხით არსებულ მნიშვნელოვან პრობლემებს. ამასთან, პროგრამებში თანასწორობის თემებზე წარმოდგენილი შეფასებები და გეგმები, როგორც წესი არ პასუხობს კონკრეტული ჯგუფების წინაშე მდგარ რეალურ გამოწვევებს და არ შეიცავს ხელშესახებ ინიციატივებს/ წინადადებებს არსებული საკანონმდებლო და ინსტიტუციური სისტემების გაუმჯობესების გზების თაობაზე. ცხადია, პროგრამების ზედაპირულობის პრობლემა ზოგადია, თუმცა, თანასწორობის საკითხებზე პოლიტიკურ პარტიათა ნაკლები ინტერესი ან პოზიციონირებისთვის თავის არიდება სავარაუდოდ პარტიათა განზრახ პოლიტიკურ სტრატეგიას წარმოადგენს წინასაარჩევნო პროცესში. თანასწორობის საკითხების ღირებულებითი მნიშვნელობის გათვალისწინებით, როგორც ჩანს, პარტიები თავს იკავებენ უმრავლესობითვის მიუღებელი საკითხების თაობაზე საჯარო მსჯელობისგან. ამასთან, უნდა ითქვას, რომ ძირითადი

პარტიების პროგრამებში არ ჩანს მკვეთრად ქსენოფობიური ან ჰომოფობიური რიტორიკა, თუმცა, პროგრამული დოკუმენტების შინაარსი პარტიების საჯარო პოზიციონირებასა და მათ წინასაარჩევნო კამპანიების სტრატეგიას შეიძლება არც ემთხვეოდეს და შესაძლოა არსებობდეს არსებითი აცდენა პროგრამებში წარმოდგენილ და პარტიების მიერ რეალურად წარმოებულ დისკურსებს შორის.

ქვემოთ განხილული ძირითადი პარტიების პროგრამებს შორის თანასწორობის საკითხებზე არსებითი განსხვავებები არ შეიმჩნევა. თანასწორობის საკითხებზე უფრო კონკრეტული პოზიციები რესპუბლიკურ პარტიას აქვს. არსებითად განსხვავებული და ნეგატიური პოზიციები კი პატრიოტთა ალიანსის პროგრამაში ფიქსირდება, რომელიც მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ მკვეთრი ლოიალობის დემონსტრირებას ცდილობს და ასევე დისკრიმინაციული შინაარსის მითითებებს აკეთებს სხვა არადომინანტი ჯგუფების მიმართ.

ქვემოთ კონკრეტულ თემაზე მხოლოდ იმ პარტიების პროგრამული შეფასებებია წარმოდგენილი, რომელთაც რაიმე ჩანაწერი აქვთ პროგრამაში განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

1. მართლმადიდებელ ეკლესიასთან ურთიერთობისა და სეკულარიზმის საკითხები

სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის არასეკულარული ურთიერთობების გაღრმავების ფონზე, რაც ეკლესიის მასშტაბურ დაფინანსებასთან ერთად, პოლიტიკურ და საკანონმდებლო პროცესებში ეკლესიის მონაწილეობასა და პოლიტიკური ხელისუფლების მკვეთრად არასეკულარულ პოლიტიკაში ვლინდება, მნიშვნელოვანია დემოკრატიული ღირებულებების მქონე პოლიტიკურმა პარტიებმა მყარი პოზიციების დაფიქსირება შეძლონ რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვისა და რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების პრაქტიკებთან დაკავშირებით. ამის მიუხედავად, პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებზე მართლმადიდებელი ეკლესიის დიდი გავლენისა და მხარდაჭერის ფონზე, პარტიებმა საკუთარ

პროგრამებში მკაფიო სეკულარული პოლიტიკის გატარების მზადყოფნის ჩვენება ძირითადად ვერ მოახერხეს.

ქართული ოცნება

ქართული ოცნების წინასაარჩევნო პროგრამაში მის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებში განხილულია, რომ "სახელმწიფო ახორციელებს საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ფინანსურ მხარდაჭერას." აღნიშნულ შეფასებას დოკუმენტში არსებითად პოზიტიური კონოტაცია აქვს და მათ შორის, აღნიშნულ თემაზე მედიაში გაკეთებული განცხადებების ფონზე[2] მიუთითებს, რომ ქართული ოცნება არსებული პოლიტიკის გაგრძელებას მომავალშიც გეგმავს და არ იზიარებს ამ კუთხით არსებულ კრიტიკას.

ირაკლი ალასანია-თავისუფალი დემოკრატები

თავისუფალი დემოკრატების წინასაარჩევნო პროგრამაში სახელმწიფოსა და რელიგიური ორგანიზაციების ურთიერთობის თაობაზე პარტიული ხედვა არ არის განსაზღვრული. პარტიის ხედვა რელიგიურ ნეიტრალიტეტთან მიმართებით მხოლოდ განათლების სფეროშია განსაზღვრული, კერძოდ კი პროგრამის თანახმად:

- კანონმდებლობის დონეზე უნდა განისაზღვროს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო დაწესებულებების დამოუკიდებლობა რელიგიური და პოლიტიკური გაერთიანებებისაგან;

- უნდა მოხდეს სკოლების დეცენტრალიზაცია და გაიზარდოს მათი ავტონომია. [...]სამეურვეო საბჭოს გაზრდილი ფუნქციები კიდევ ერთი ბერკეტი იქნება სკოლების საქმიანობაში პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციების ჩარევის თავიდან ასაცილებლად.

პატრიოტთა ალიანსი[3]

ეკლესიასთან სახელმწიფო ურთიერთობის პარტიული ხედვის შეფასების ნაწილში ყველაზე განსხვავებული წინასაარჩევნო პროგრამა პატრიოტთა ალიანსს გააჩნია. სხვა პოლიტიკური პარტიებისგან განსხვავებით, პატრიოტთა ალიანსი წინასაარჩევნო პროგრამაში ღია ლოიალობას გამოხატავს მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ. მაგალითისთვის, წინასაარჩევნო პროგრამაში გხვდება ერთ-ერთი სვეტი სახელწოდებით „დავაფასოთ პატრიარქი“, რომელსაც პატრიარქის ფოტო აქვს დართული და პატრიარქის სიტყვების საფუძველზე მოუწოდებს ამომრჩეველს თავმდაბლობისკენ. ასევე, პროგრამაში გარკვეული საკითხების განხილვისას, პარტიის მიერ სხვადასხვა სახის მოწოდებები გვხდება ამომრჩევლის მიმართ პატრიარქის სიტყვებზე მითითებით.

პატრიოტთა ალიანსის წინასაარჩევნო პროგრამა ასევე ეხება საბიუჯეტო სახსრებიდან მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსების საკითხს, სვეტით, რომლის სახელწოდებაა „მშვიდობა ეკლესიის წიაღშია“. ტექსტის თანახმად, უნდა განხორციელდეს მართლმადიდებელთა დათვლა დაფინანსების მასშტაბის განსაზღვრისთვის. პარტიის გათვლებით მართლმადიდებელთა რიცხვი დაახლოებით 3 მილიონი უნდა იყოს, აღნიშნული რიცხვი უნდა გამრავლდეს 50 ლარზე და შესაბამისად, სახელმწიფომ მართლმადიდებელი ეკლესია ყოველწლიურად 150 მილიონი ლარით უნდა დააფინანსოს. პროგრამის ამავე თავში განსაზღვრულია მსგავსი დაფინანსების დადებითი მხარეები: „რაც შეიძლება მეტი ადამიანი უნდა გახდეს სამღვდელოება, მედავითნენი, მგალობლები თუ სხვანი. ამ 150 მილიონის ფარგლებში, ეკლესიის წიაღში რაც შეიძლება მეტი ადამიანი უნდა დასაქმდეს. რას მოუტანს ეს ჩვენს ქვეყანას? რაც უფრო მეტი ადამიანი მოექცევა ეკლესიის წიაღში, მით მეტი სიყვარული დამკვიდრდება ჩვენს საზოგადოებაში.“

2. რელიგიური და ეთნიკური უმცირესობები

არადომინანტი რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების წინაშე

მდგარი სისტემური პრობლემების მიუხედავად, რომელიც უსაფრთხო, დისკრიმინაციისგან თავისუფალ გარემოში რელიგიის თავისუფლებით სარგებლობისა და ინტეგრაციის კუთხით არსებობს ქვეყანაში, პოლიტიკური პარტიების პროგრამებში წარმოდგენილი ხედვები ზოგადი და არა საკმარისია და არ ითვალისწინებს იმ უმნიშვნელოვანეს რეკომენდაციებს, რომელსაც საერთაშორისო ორგანიზაციები, ადამიანის უფლებებზე მომუშავე ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციები და რელიგიათა საბჭო მთავრობას აძლევენ.

ქართული ოცნება

ქართული ოცნების წინასაარჩევნო პროგრამა მათი ხედვებისა და გეგმების გარდა შეიცავს პარტიის სახელისუფლებო მმართველობის პირობებში განხორციელებული საქმიანობის ანგარიშს და პარტია პოზიტიურად აფასებს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსა და ოთხი რელიგიური ორგანიზაციის დაფინანსების პრაქტიკის ამუშევას.

რელიგიური უმცირესობები

პროგრამის თანახმად, სახელმწიფოში „უზრუნველყოფილია რწმენის თავისუფლება და რელიგიური მრავალფეროვნება. რელიგიური თანასწორობის განმტკიცებისა და კონფესიური თვითმყოფადობის ხელშეწყობის მიზნით, შეიქმნა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო. ჩამოყალიბდა რელიგიური თემების ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმი, საიდანაც დაფინანსებას მუსლიმური, იუდეური, კათოლიკე და სომეხთა ქრისტიანული სამოციქულო თემები იღებენ. განვითარდა რელიგიური პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში ინტერრელიგიური ჩართულობის მექანიზმები. გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები რელიგიური გაერთიანებების ქონებრივი უფლებების აღდგენის მიმართულებით.“

ქართული ოცნების საარჩევნო პროგრამით განსაზღვრული დაგეგმილი სამუშაოები არ შეიცავს კონკრეტული საქმიანობის ხედვებს და ზოგადი ხასიათისაა. პროგრამის თანახმად,

„უზრუნველყოფილი იქნება რწმენის თავისუფლების დაცვა ყველა რელიგიური გაერთიანებისა და თითოეული ადამიანისთვის. გაგრძელდება და კიდევ უფრო გაღრმავდება ინტერრელიგიური დიალოგი. ხელისუფლება ხელს შეუწყობს საზოგადოებაში შემწყნარებლობის კულტურის შემდგომ განვითარებას.“

ეთნიკური უმცირესობები

პროგრამის თანახმად, „ხელისუფლებამ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვისა და მათი სამოქალაქო ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად. 2015 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და 2015- 2020 წწ. სამოქმედო გეგმა“, რომელიც საუკეთესო პრაქტიკას და გამოცდილებას დაეფუძნა, აგრეთვე განსაზღვრა არსებულ საჭიროებებსა და გამოწვევებზე ეფექტური რეაგირების მექანიზმები. მნიშვნელოვან პრიორიტეტად განისაზღვრა ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა. შემუშავდა ეთნიკური უმცირესობების განათლების პოლიტიკის დოკუმენტი სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების დონეებზე. ხორციელდება ქართული ენის სპეციალური კურსები როგორც საუნივერსიტეტო, ისე პროფესიული განათლების მიღების მსურველთათვის და საჯარო მოხელეებისთვის. მეტი ყურადღება დაეთმო მცირერიცხოვან ეთნიკურ ჯგუფებს, მათ კულტურულ თვითმყოფადობას და საჭიროებებს. სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად, ამაღლდა ეროვნული უმცირესობებისთვის სახელმწიფო ენის სწავლების ეფექტიანობის ხარისხი. ხორციელდება სპეციალური პროგრამები, რომლის ფარგლებში 90 სკოლაში გაიხსნა ქართული ენის კლუბები, რითაც 2600-ზე მეტი მოსწავლე, 500-მდე მასწავლებელი და 400-ზე მეტი ადგილობრივი თემის წევრი სარგებლობს. ქართული ენის 78 მასწავლებელი მიავლინეს სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის არაქართულენოვან სკოლებში.

პროგრამის თანახმად, ქართული ოცნება, მათი ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში გააგრძელებს მუშაობას „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია

და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმის რეალიზების უზრუნველსაყოფად. პარტიის ხედვის თანახმად, განსაკუთრებით პრიორიტეტული იქნება სახელმწიფო ენის ცოდნის დონის გაუმჯობესება ეთნიკურ უმცირესობებში. გაუმჯობესდება მედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა და შესაბამისად, ეროვნული უმცირესობების ერთიან საინფორმაციო სივრცეში ჩართვა. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში გაგრძელდება ინფრასტრუქტურის, სოციალური და ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარება, მათ შორის, სახელმწიფოს შესაბამის პროგრამებსა და სერვისებზე მათთვის გასაგებ ენაზე სრულყოფილი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდით. უზრუნველყოფილი იქნება ეროვნულ უმცირესობათა კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების და განვითარების შესაძლებლობები, ტოლერანტული გარემოს წახალისება მთლიანად საზოგადოებაში.

ირაკლი ალასანია-თავისუფალი დემოკრატები

თავისუფალი დემოკრატების წინასაარჩევნო პროგრამა საერთოდ არ განსაზღვრავს პარტიულ ხედვას რელიგიურ უმცირესობებთან ან რელიგიის თავისუფლებით სარგებლობასთან მიმართებით. ხოლო, ეთნიკური უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით დაგეგმილ სამუშაოებთან მიმართებით პრიორიტეტად ეთნიკური უმცირესობებისათვის სახელმწიფო ენის სწავლებისა და მათი საგანმანათლებლო მხარდაჭერის პროგრამის გაუმჯობესებას სახავს.

პატრიოტთა ალიანსი

ეთნიკური უმცირესობები

პატრიოტთა ალიანსის წინასაარჩევნო პროგრამა ეთნიკური უმცირესობებთან მიმართებით ზოგადი ხედვებით შემოიფარგლება და ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებს სრულფასოვან ინტეგრაციას პირდება ერთიან ქართულ სახელმწიფოში.

რელიგიური უმცირესობები

პარტიის წინასაარჩევნო პროგრამა რელიგიურ უმცირესობებთან მიმართებით მხოლოდ მუსლიმების უფლებრივ მდგომარეობას მიემართება. მუსლიმები უმეტესად მოხსენიებული არიან როგორც „მაჰმადიანები“. პარტიის მიერ შეფასებულია ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭელასა[4] და ადიგენში[5] მომხდარი მოვლენები. პატრიოტთა ალიანსის შეფასებით, აღნიშნული კონფლიქტები გამოწვეული იყო პროვოკაციის საფუძველზე, „აშკარად ჩანდა კონფლიქტის გაღვივებით დაინტერესებული შიდა და გარე ძალების კვალი.“ აღნიშნულიდან გამომდინარე, პარტია მუსლიმ და ქრისტიან ძმებს მოუწოდებს „გამოავლინეთ ერთმანეთისადმი ის სიყვარული, რომელიც ყოველთვის ასაზრდოვებდა ჩვენს ძმობას. მოერიდეთ კატეგორიულობას, ნუ დაუშვებთ ცეცხლის ანთებას ჩვენს გულებსა და ქვეყანაში.“

პატრიოტთა ალიანსი ასევე სპეკულაციად მიიჩნევს ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის აუცილებლობაზე საუბარს. პარტიის შეფასებით 2013 წლის 25 მარტიდან 25 აპრილამდე ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის საკითხზე 60 000-მდე მოქალაქე გამოიკითხა, საიდანაც 55 737 ადამიანი არის წინააღმდეგი, რომ ბათუმში ახალი მეჩეთი აშენდეს, ხოლო არსებული მეჩეთის გაფართოებაზე მხოლოდ 1503 ადამიანი აცხადებს თანხმობას. დავით თარხან-მოურავის შეფასებით „უპრეცედენტო რაოდენობის ხალხი გამოვკითხეთ, [...] ყველასთვის გასაგებია, რომ ეს არ არის არც რელიგიის და არც რწმენის საკითხი, ეს არის სრულიად სხვა, პოლიტიკის საკითხი.“

პროგრამაში ასევე, დამოუკიდებლად საუბარია აზიზის მეჩეთის საკითხზე და აღნიშნულია, რომ „აზიზის მეჩეთის თემით სპეკულირებენ ის ძალები, რომლებიც ანტიქართულ და ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას ეწევიან და თურქეთის ინტერესებს იცავენ საქართველოში.“

საქართველოს რესპუბლიკური პარტია

პროგრამის თანახმად, პარტიის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობისათვის აუცილებელი ღონისძიებების დასახვა იქნება. ამ მიმართულებით სამუშაოებში ჩართულები იქნებიან, როგორც თავად ეთნიკური უმცირესობები, ასევე ამ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები.

ეთნიკური უმცირესობები

ეთნიკური უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით რესპუბლიკური პარტიის თანახმად, ყველაზე მნიშვნელოვანი საქმიანობა ხელმისაწვდომი და ხარისხიანი განათლების მიწოდება იქნება მშობლიურ ენაზე. ასევე ყურადღება მიექცევა სახელმწიფო ენის სწავლებასაც. პარტიის თანახმად, შემდეგი მოწვევის პარლამენტმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს „რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტიის“ ხელმოწერასა და რატიფიკაციას.

რელიგიური უმცირესობები

რესპუბლიკური პარტიის თანახმად აუცილებელია უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს რელიგიური უმცირესობების უფლებებისა და ინტერესების დაცვას. პროგრამის თანახმად, კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ მუშაობის პროცესში, სწორედ რესპუბლიკური პარტიის ინიციატივით მოხდა საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის მიერ რეპრესირებული რელიგიური ორგანიზაციებისთვის ზარალის სიმბოლურ ანაზღაურებაზე გადაწყვეტილების მიღება და აღსრულება. აღნიშნულიდან გამომდინარე, პარტია იძლევა დაპირებას, რომ ის მომავალ პარლამენტში საქმიანობის პირობებშიც გააგრძელებს რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელთათვის თანასწორობის პირობების განმტკიცებას.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

სხვა პოლიტიკური პარტიების მსგავსად ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნო პროგრამა ეთნიკური უმცირესობების მიმართ დაპირებას ძირითადად ქართული ენის სწავლების ხელმისაწვდომობასთან მიმართებით შეიცავს. კერძოდ კი, მოხდება პროგრამა „ასწავლე საქართველოსთვის“ განახლება, რაც შედეგად მოგვცემს საქართველოს მოქალაქეების სრულფასოვან ინტეგრაციას ქვეყნის სამოქალაქო ცხოვრებაში. პარტიის წინასაარჩევნო პროგრამა რელიგიური უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების ხედვას არ განსაზღვრავს.

ახალი პოლიტიკური ცენტრი გირჩი

პარტიის ხედვის თანახმად, ეთნიკური უმცირესობებისთვის საზოგადოებაში ინტეგრაციის მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზი ენობრივი ბარიერია, რის გამოც პარტიის საგანმანათლებლო პოლიტიკა ხელს შეუწყობს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა თავისუფლებას მათთვის მაქსიმალურად ეფექტური საგანმანათლებლო მომსახურების მიღებაში. გარდა აღნიშნულისა პროგრამის თანახმად, პარტიის პრინციპული პოზიციაა ადამიანის უფლებების განუხრელი დაცვა, მიუხედავად მათი რელიგიური, ეთნიკური, სექსუალური და პოლიტიკური კუთვნილებისა.

3. ლგბტ პირთა უფლებები და პოლიტიკური ჰომოფობიის ტენდენციები

ლგბტ ადამიანების მიმართ ძალადობის, დისკრიმინაციის სისტემური პრაქტიკებისა და პოლიტიკური ჰომოფობიის მაღალი მასშტაბის მიუხედავად, პარტიათა უმრავლესობის წინასაარჩევნო პროგრამები მითითებას საერთოდ არ აკეთებს ლგბტ ადამიანების უფლებრივი მდგომარეობის საკითხებზე. იმ პირობებში, როდესაც კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფების მხრიდან პოლიტიკური ჰომოფობია საჯარო დისკურსში ორგანიზებულად იწარმოება, დემოკრატიული ღირებულებების მქონე პარტიების მხრიდან ლგბტ თემის, როგორც სოციალური ჯგუფის არ აღიარება ლგბტ უფლებებთან დაკავშირებით პოზიტიური და ადამიანის უფლებებზე

დაფუძნებული პოლიტიკის განხორციელების პერსპექტივებს მნიშვნელოვნად ასუსტებს.

პატრიოტთა ალიანსი

პატრიოტთა ალიანსი ლგბტ თემის მიმართ ამომრჩეველს საკუთარ ჰომოფობიურ ხედვებს უზიარებს. პროგრამაში განთავსებულია ერთ-ერთი სვეტი, რომლის სახელწოდებაა „მტერი ჩაგრულის ნიღაბში“, სადაც ლგბტ თემის წარმომადგენელი პირები და ის აქტივისტები, რომლებიც ამ თემის წევრების ჩაგვრაზე საუბრობენ საქართველოს ისტორიულ დამპყრობლებთან არიან შედარებული. „დღეს დამპყრობელი მოდის ჩაგრულის ნიღბით. მოდის და გეუბნება: ვიჩაგრები, შენ მჩაგრავ, ნუღარ მჩაგრავ […] გთხოვს ასეთი კანონი მიიღე, ისეთი კანონი მიიღე, მაგრამ თუ დავუკვირდებით […] ცდილობს თავს მოგახვიოს თავისი ცხოვრების წესი; […] უარი გათქმევინოს რწმენაზე, სამშობლოზე […] კაცს კაცობაზე ათქმევინოს უარი და მანდილოსანს-მანდილზე. ამიტომაა, რომ პატრიარქი მოგვიწოდებს: „დაიცავი შენი წილი საქართველო“.

[საქართველოს რესპუბლიკური პარტია]

ლგბტ პირების უფლებრივ მდგომარეობას რესპუბლიკური პარტიის წინასაარჩევნო პროგრამა ქალთა უფლებრივი მდგომარეობის კონტექსტში აღიქვამს, პროგრამის თანახმად, „პრობლემათა დიდი დიაპაზონი განაპირობებს სიღრმისეული და სისტემური მიდგომის ჩამოყალიბების აუცილებლობას.“ შესაბამისი, ქმედითი მექანიზების შემუშავებისთვის კი აუცილებელია მოწყვლადი ქვეჯგუფების იდენტიფიცირება და ინდივიდუალური მიდგომის ჩამოყალიბება. ერთ-ერთი ასეთი ქვეჯგუფი რესპუბლიკური პარტიის პროგრამის თანახმად, სუბკულტურული და მარგინალური ჯგუფების წარმომადგენელი ქალები, ეთნიკური, რელიგიური, ლგბტ ჯგუფის წარმომადგენლები არიან. პროგრამაში ასევე ხაზია გასმული ლგბტ პირების მიმართ განხორციელებულ ძალადობასა და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე. პარტიის თანახმად აუცილებელია დანაშაულისა და ძალადობის ფაქტებზე ადეკვატური რეაგირება და კანონის

მოთხოვნების სამართლიანი მიდგომა.

4.ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა

2014 წელს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის მიღების მიუხედავად, მოქმედი ანტიდისკრიმინაციული მექანიზმები ეფექტიანად არ მუშაობას და მათ საკნონმდებლო და ინსტიტუციურ დონეზე არსებითი გაუმჯობესება სჭირდება. ამასთან, მთავრობას არ გააჩნია დისკრიმინაციასთან ბრძოლის ეფექტური და პროაქტიული სტრატეგია. აღნიშნული გამოწვევების მიუხედავად, პარტიების პროგრამები, ანტიდისკრიმინაციულ პოლიტიკაზე ზოგადი და სუსტია.

ქართული ოცნება

პარტიის წინასაარჩევნო პროგრამის თანახმად, ადამიანებისა და მათი გაერთიანებების უფლებრივი თანასწორობის უზრუნველსაყოფად, მიღებულ იქნა კანონი "დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ", რითიც ხელისუფლებამ გადადგა ქმედითი ნაბიჯები თანასწორობის პრინციპის დასაცავად. მომავალი პარლამენტის პირობებში კი, გატარდება ქმედითი ღონისძიებები თანასწორობის უფლების რეალიზებისათვის და ადამიანების ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად და აღსაკვეთად. ასევე, გაძლიერდება „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" კანონის აღსრულების მექანიზმები.

საქართველოს რესპუბლიკური პარტია

რესპუბლიკური პარტიაც პირთა თანასწორუფლებიანობის მიმართულებით წინგადადგმულ, მაგრამ არასაკმარის ნაბიჯად აფასებს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" კანონის მიღებას. პროგრამის თანახმად, „იმის მიუხედავად, რომ საქართველო მიერთებულია კონვენციას „ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის თაობაზე და ამავე დროს მიღებულია კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ", რეალურ ცხოვრებაში არასაკმარისია

ყოფით დონეზე დისკრიმინაციის აღმოფხვრის ქმედითი მექანიზმები ამიტომ აუცილებელია ასეთი მექანიზმის შექმნა, კერძოდ სათანადო სანქციებისა და მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაწესება, დისკრიმინაციის ფაქტებზე სახალხო დამცველის უფლებამოსილების გაფართოება.“

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ხედვა სახელმწიფოს ანტიდისკრიმინაციული მექანიზმებთან მიმართებით მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოების რეფორმირების ასპექტშია ასახული. კერძოდ კი, პროგრამის თანახმად, სამართალდამცავი სისტემის რეფორმირებისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ეფექტურ ანტიდისკრიმინაციულ პოლიტიკას და უმცირესობების დაცვას ძალადობისგან.

---

[1] შენიშვნა: ტექსტში განხილული პოლიტიკური პარტიების გარდა, ასევე შეფასდა „ეროვნული ფორუმის“ წინასაარჩევნო პროგრამა, მაგრამ მათ პროგრამაში, ტექსტში განხილულ არცერთ საკითხზე პარტიული ხედვა არ არის დაფიქსირებული.

[2] http://liberali.ge/articles/view/24689/unda-finansde-bodes-tu-ara-eklesia-biujetidan--ras-fiqroben-politikuri-partiebi

[3] შენიშვნა: პატრიოტთა ალიანსის წინასაარჩევნო პროგრამა ქართულ ენაზე ხელმისაწვდომია მხოლოდ ბეჭდური სახით. პარტიის ვებ.გვერდზე http://patriots.ge/ არასრული ინფორმაცია განთავსებულია მხოლოდ ინგლისურ ენაზე.

[4] იხ. https://emc.org.ge/2013/08/29/%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9A-%E1%83%AD%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/

[5] იხ. https://emc.org.ge/2016/03/02/emc-11/

ქალთა რეპრეზენტაცია და 2016 წლის არჩევნები

მიმდინარე წლის 8 ოქტომბერს საპარალმენტო არჩევნებია დანიშნული. პოლიტიკურმა პარტიებმა სექტემბრის დასაწყსში წარადგინეს საარჩევნო სიები და პარტიათა უმრავლესობამ საარჩევნო პროგრამაც გააცნო ამომრჩეველს. 2016 წლის არჩევნებს დემოკრატიის გართულებული ტესტის გასავლელად დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება.

სპარლამენტო არჩევნებმა უნდა აჩვენოს ქვეყნის არჩევანი პოლიტიკის დონეზე ისეთ საკითხებში, როგორიც არის საგარეო ვექტორის მიმართულება, ეკონომიკა და სოციალური საკითხები. მიმდინარე არჩევნები მნიშვნელოვანია ასევე ქალთა პოლიტიკური აქტივობის კუთხით. არჩევნები არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმი ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გასაზრდელად და იმ საკითხების წინ წამოსაწევად, რაც ქალებს ხელს უშლით იფიქრონ პოლიტიკაზე ან იყვნენ პოლიტიკაში.

ქალთა წარმომადგენლობა და მონაწილეობა პოლიტიკაში შეიძლება ორი კრიტერიუმით შეფასდეს: რაოდენობრივი მონაცემით - ქალთა რაოდენობა საარჩევნო სიებში და თვსებრივი მაჩვენებლით, - პარტიათა წინასაარჩვნო პროგრამებში ქალთა საკითხების ხილვადობის გაზრდა.

2016 წელს შემოთავაზებული საარჩევნო პროგრამები ძალიან ჰგავს ერთმანეთს - წინასაარჩევნო დაპირებათა უმეტესობა სოციალურ-ეკონომიკურ, საგარეო და საშინაო თავდაცვის, ეროვნული იდენტობისა და ინსტიტუციური სამართლიანობის ხარისხის გაზრდის საკითხებს მოიცავს. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა გადასახადების შემცირებას და ხელფასებისა თუ პენსიების ზრდას. მათემატიკური მიდგომა არჩევნებისადმი შემოსავლის ზრდისა და გადასახადების შემცირების შესახებ პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია, თუმცა პოლიტიკურ პარტიათა წინასაარჩევნო პროგრამებში თითქმის შუძლებელია ისეთი საკითხების მიმოხილვა, როგორიც არის ფემიციდი, ოჯახური ძალადობა, ქალთა და ბავშვთა სიღარიბე, ქალთა შრომითი უფლებები და ეკონომიკური გაძლიერება, ქალთა ჯანმრთელობის

საკითხები, და ა.შ. კიდევ უფრო რთულად მოსაძებნია, თუ რა ხედვა აქვთ პარტიებს სამომავლოდ, ამ საკითხთა მიმართ. პარტიული სიების გენდერული განაწილებისთვს თვალის გადავლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი იქნება ამ ფაქტის ასახსნელად.

2016 წლის სექტემბრის მონაცემებით საქართველოს პარლამენტში 12% , ხოლო მინისტრების 10.5% არის ქალი. დემოკრატიულ სისტემაში, სადაც საკითხები ხმის მიცემისა და უმრავლესობის პრინციპით წყდება, ქალთა მონაწილეობის ეს მაჩვენებელი მცირე და უძლური მექანიზმია რაიმე სახის გადაწყვეტილებაზე გავლენის მოსახდენად. სწორედ ამ მიზეზით, მნიშველოვანია ქალთა რაოდენობრივი წარმომადგენლობისა და მონაწილეობის გაზრდა პოლიტიკაში, რის საშუალებასაც პარტიული სიები უნდა იძლეოდეს.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში პარტიები მონაწილეობენ როგორც მაჟორიტარული, ისე პროპორციული სიებით. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში დარეგისტრირებულია ოცდაათამდე პოლიტიკური პარტია და ბლოკი. დარეგისტრირებულ მაჟორიტარულ სიებში (სულ 835 კანდიდატი) კანდიდატების მხოლოდ 16.4% არის - ქალი.

პროპორციულ სიებში ქალთა წარმომადგენლობა 10%-დან 40%-მდე მერყეობს, რაც მაღალი მაჩვენებელია მაჟორიტრულ სიებთან შედარებით. პროპორციულ სიებში პარტიას აქვს საშუალება რაოდენობრივად უფრო მეტი კანდიდატი წარადგინოს - მინიმუმ 100, მაქსიმუმ- 200. სადაც იზრდება კანდიდატების რაოდენობა, იზრდება ქალთა წარმომადგენლობა და პირიქით, სადაც მანდატების რაოდენობა ნაკლებია - იკლებს ქალთა რაოდენობრივი მაჩვენებელი. მოცემული გენდერული თანაფარდობის ასახსნელად, მნიშვნელოვანია მანდატების შინაარსობრივი ასპექტის გათვალისწინება. მაჟორიტარულ სიებში, სადაც ქალთა წარმომადგენლობა საგრძნობლად დაბალია, ყურადღება ექცევა არა იმდენად პარტიას, რამდენადაც კანდიდატს. შეიძლება ითქვას, რომ მაჟორიტარული არჩევანი პერსონიფიცრებულია[1] და ამომრჩევლები ხმას აძლევენ უშუალოდ პიროვნებას. შესაბამისად, პარტიები წარადგენენ

იმ კანდიდატებს, რომელთაც გააჩნიათ მაღალი ეკონომიკური მდგომარეობა, დიდი სოციალური ან კულტურული კაპიტალი, რაც განაპირობებს საზოგადოებრივი ნდობის მოპვებას და პარტიისთვის შეიძლება წარმოადგენდეს დამატებით სარგებელს. პროპორციულ სიებში კი, სადაც ქალთა წარმომადგენლობა მაჟორიტარულთან შედარებით მაღალია, ამომრჩეველი ირჩევს პარტიას და კანდიდატის პიროვნულ მონაცემებს ნაკლები ყურადღება ექცევა. შეიძლება ითქვას, პროპორციულ სიებში ისევ ქალთა უხილავობასთან გვაქვს საქმე.

2016 წელი მნიშვნელოვანია იმ კუთხითაც, რომ სრულად გამოქვეყნდა 2014 წელს ჩატარებული საყოველთაო აღწერის შედეგები. მონაცემები, რომელიც მოსახლეობის აღწერის შედეგად შეგროვდა, მნიშვნელოვან ინფორმაციას ატარებს ქალთა მდგომარეობის შესახებ.

2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით:

1. საქართველოს მოსახლეობის 52%-ზე მეტი ქალია[2]

2. ემიგრანტთა 54.6% ქალია[3]

3. ძალადობის მსხვერპლი ქალი 742, მსსხვერპლი კაცი - 87 , მოძალადე ქალი - 60, მოძლადე კაცი 690 (2014 წ.).

4. 16-19 წლის ასაკის გოგონათა რეგისტრირებული ქორწინების მაჩვენებელი 3984 (ამავე ასაკში კაცების რეგისტირებული ქორწინება - 776).

5. რეგისტრირებული აბორტების რაოდენობა 33 ათასზე მეტი (2014წ.), ხოლო 15-19 ასაკობრივ ჯგუფში 1386 შემთხვევა (2014წ).

6. საპენსიო და სოციალური პაკეტის მიმღები ქალები 556 326 , ხოლო კაცები 309 844 (2014წ).

7. მდედრობითი მოსწავლეები 262937, ხოლო მამრობითი -

291057 (2014/2015).

8. პედაგოგი ქალები 57 775, კაცები 9619.

9. ქალის საშუალო თვიური ხელფასი 617.9, კაცის- 980.0.

ციფრები მხოლოდ რეგისტრირებული შემთხვევების შესახებ მოგვითხრობს, სადაც აისახება ქალთა პრობლემების სიმწვავე და მათი გადაჭრის აუცილებლობა. ამ ფონზე, მნიშვნელოვანია, საქართველოს მოსახლეობის ისეთ მრავალრიცხოვან ჯგუფს, როგორებიც არიან ქალები, ყავდეთ შესაბამისი რაოდენობის წარმომადგენლები გადაწყვეტილების მიმღებ სახელმწიფო უწყებებში, მათ შორის პარლამენტსა და ადგილობრივ თვითმმართველობაში.

მნიშვნელოვანია ყოფილი და ამჟამინდელი სახელისუფლებო პარტიების სიების მიმოხილვა (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და ქართული ოცნება). პარტიების მაჟორიტარული და პროპორციული სიების გენდერული შემადგენლობა შემდეგნაირად გამოიუყურება:

1.ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარულ სიაში 70 მაჟორიტარობის კანდიდატია. წარმოდგენილ სიაში 65 კაცია, ხოლო 5 ქალი. შესაბამისი პროცენტული თანაფარდობა - **92.86% /7.14%.**

2.ქართული ოცნების მაჟოორიტარულ სიაში სულ 21 მაჟორიტარობის კანდიდატია, რომელთაგან 18 კაცია, ხოლო 4 ქალი, შესაბამისი პროცენტული თანაფარდობით - **86% / 14%.**

2013 წელს კანონში „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“[4] შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც პარტიებს საბაზისო დაფინანსებაზე ექნებოდათ საბიუჯეტო დანამატი დაფინანსების 30%, თუ მათ პარტიულ სიებში იქნებოდა ერთმანეთისგან განსხვავებული სქესის წარმომადგენელი ანუ ყველა ათეულში 30% მაინც უნდა ყოფილიყო ქალი. მიუხედვად ამ წამახალისებელი საკანონმდებლო ნაბიჯისა, რომელსაც

სავალდებულო ხასიათი არ გააჩნია და ნებაყოფლობითია, პარტიები თითქმის არ გამოხატავენ ინტერესს ამ ინიციატივის მიმართ.

პროპორციულ სიებში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ წარდგენილია 200 ადამიანისგან შემდგარი პარტიული სია, სადაც 150 კაცი, ხოლო 50 ქალია, შესაბამისი პროცენტული თანაფარდობა - **75%/25%.**

ქართული ოცნების პროპორციულ სიაში წარმოდგენილია 155 კანდიდატი, როემლთაგან 137 კაცია, ხოლო 18 ქალი, შესაბამისი პროცენტული თანაფარდობით - **88.4%/11.6%.**

წარმოდგენილი მონაცემებიდან მარტივად იკითხება ფაქტობრივი მდგომარეობა, რომ ისევე როგორც პარლამენტში, მთავრობასა და პარტიულ (როგორც მაჟორიტარულ, ისე პროპორციულ) სიებში ქალთა წარმომადგენლობა მკვეთრად ჩამორჩება კაცებისას. ამის მიზეზად კი შესაძლოა მივიჩნიოთ რიგი იმ დაბრკოლებებისა, რაც ქალთა ყოველდღიურ ცხოვრებაში იჩენს თავს სიღარიბის, ჯანდაცვის საკითხების, ძალადობისა თუ ფემიციდის სახით და არ აძლევს მათ ხელსაყრელ პირობებს იყვნენ საჯარო სივრცეში და მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

საარჩევნო პროგრამები, სატელევიზიო დებატები, სოციალური ქსელები მთელ სივრცეს საგარეო თავდაცვის საკითხების, ბიზენესისთვის ხელის შეწყობის განხილვას უთმობს, მაშინ, როცა ქალთა ოჯახური ძალადობისგან დაცვის, ქალთა შრომითი უფლებებისა და ეკონომიკური გაძლიერების, ბავშვთა სიღარიბის საკითხები ჯერ კიდევ უხილავი თემაა იმ პოლიტიკური პარტიებისთვის, რომლებიც ამომრჩევლის რეპრეზენტაციისთვის იბრძვიან.

რთული სათქმელია, ქალთა მცირე რაოდენობრივი წარმომადგენლობა და პოლიტიკურ პარტიებში დაბალი მონაწილეობა არის მიზეზი ქალთა სიღარიბის და მასთან დაკავშირებული პრობლემების თუ პირიქით, თუმცა ის ფაქტი, რომ ქვეყანაში ქალთა საკითხების შესახებ გადაწყვეტილებები

მაინც მიიღება (არმიღებაც მიღებაა) და მასში მხოლოდ 10%-მდე ქალი მონაწილეობს, პოლიტიკური წარმომადგენლობისა და რეპრეზენტაციის საკითხს ეჭვქვეშ აყენებს.

[1] http://www.parliament.ge/files/1055_16721_957521_saarchevno_sistemebi.pdf

[2] http://census.ge/files/results/Census%20Release_GEO.pdf

[3] http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/population/Census%20Release_GEO_2016.pdf

[4] https://matsne.gov.ge/ka/document/view/28324